საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომის ოქმი N25

საქართველოს პარლამენტი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N8
ი. ჭავჭავაძის დარბაზი
(C კორპუსი, V სართული)

სხდომას თავმჯდომარეობდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სამხარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: ირაკლი შატაკიშვილი, დავით დოლიძე, ლევან მახაშვილი, მაია ბითაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი შარაშიძე;

სხდომას ესწრებოდნენ: საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, თავმჯდომარის კაბინეტის წევრები, საგარეო ურთიერთობების სამმართველოს თანამშრომლები, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის თანამშრომლები, მედია.

დღის წესრიგი

მუდმივმოქმედი დელეგაციების ანგარიშები:

1. **საპარლამენტთაშორისო კავშირში** (IPU) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1363; 06.02.2026)**

მომხსენებელი: საპარლამენტთაშორისო კავშირში (IPU) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი**

2. **ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში** (AIPA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1362; 06.02.2026)**

მომხსენებელი: ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში (AIPA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი**

3. **ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში** (OSCE PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1316; 05.02.2026)**

მომხსენებელი: ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში (OSCE PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **ნიკოლოზ სამხარაძე**

4. **ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში** (NATO PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1297; 05.02.2026)**

მომხსენებელი: ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში (NATO PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **ნიკოლოზ სამხარაძე**

5. დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის, სუამ-ის სუამის საპარლამენტო ასამბლეაში (GUAM PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში **(2-1348; 06.02.2026)**

მომხსენებელი: სუამის საპარლამენტო ასამბლეაში (GUAM PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **დავით მათიკაშვილი**

6. მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში (Interparliamentary Assembly on Orthodoxy (I.A.O.) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1361; 06.02.2026)**

მომხსენებელი: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში (Interparliamentary Assembly on Orthodoxy (I.A.O.) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **ირაკლი ქადაგიშვილი**

7. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში (PABSEC) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში. **(2-1344; 06.02.2026)**

მომხსენებელი: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **ირაკლი მეზურნიშვილი**

8. საქართველოს კანონის პროექტი **„საკონსულო საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(07-2/56; 04.06.2025) /მესამე -მოსმენა/**

მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ხათუნა თოთლაძე**

9. საქართველოს კანონის პროექტი **„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(N249/2; 26.12.2025);**

მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ხათუნა თოთლაძე**

სხდომის მსვლელობა

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

საკითხი პირველი

საპარლამენტთაშორისო კავშირში (IPU) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** კომიტეტის სხდომაზე, საპარლამენტთაშორისო კავშირში (IPU) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წლიური ანგარიში წარადგინა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, **/2025 წლის იანვარი - 2026 წლის იანვარი/** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ საპარლამენტთაშორისო კავშირში, მონაწილეობა მიიღო ასამბლეის 150-ე და ასამბლეის 151-ე სესიებში, პარლამენტების თავმჯდომარეთა მსოფლიო კონფერენციაში, საპარლამენტთაშორისო კავშირის ყოველწლიურ საპარლამენტო შეხვედრასა და პარლამენტარი ქალების გლობალური კონფერენციის მუშაობაში.

2025 წლის 10-13 მარტი
საპარლამენტთაშორისო კავშირის ყოველწლიური საპარლამენტო შეხვედრა
ნიუ იორკი, აშშ
მონაწილეები: მარიამ ლაშხი, ნინო ბუჯიაშვილი

2025 წლის 10-13 მარტს, ნიუ იორკში, გაეროს შტაბბინაში გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის ყოველწლიური საპარლამენტო შეხვედრა, რომლის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა: **„პარლამენტები და პეკინის დეკლარაცია 30 წლის შემდეგ: წინააღმდეგობის დაძლევა და არსებული პარადიგმების გამოყენება გენდერული თანასწორობის სასარგებლოდ"**, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრმა მარიამ ლაშხმა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკურ სფეროში ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული სტრატეგიების განხილვა. სხდომის ფარგლებში შეფასდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გლობალური მდგომარეობა, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები.

შეხვედრის ფარგლებში დელეგაციის წევრმა, მარიამ ლაშხმა, ისაუბრა საქართველოში ქალთა გაძლიერების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე, პეკინის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობასა და არსებულ გამოწვევებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასა და ქალებისა და გოგონების ჩართულობის ზრდას STEAM-ის სფეროებში.

ღონისძიების ფარგლებში მარიამ ლაშხმა ორმხრივი შეხვედრა გამართა **„ქალთა საერთაშორისო მშვიდობის ჯგუფის"** რეგიონის დირექტორთან **სეო იეონ ლისთან.** შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორგანიზაციის საქმიანობაზე, მიმდინარე და სამომავლო აქტივობებზე.

2025 წლის 13-16 მარტი
პარლამენტარი ქალების გლობალური კონფერენცია
მეხიკო, მექსიკის შეერთებული შტატები
მონაწილეები: მარიამ ლაშხი, ნინო ბუჯიაშვილი

13-16 მარტს, მექსიკის შეერთებულ შტატების დედაქალაქ მეხიკოში, გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) პარლამენტარი ქალების გლობალური კონფერენცია. კონფერენციის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა: **„მექსიკის გზავნილი მსოფლიოს, მოვახდინოთ მობილიზება გენდერული თანასწორობისათვის".**

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

ღონისძიების ფარგლებში მარიამ ლაშხმა ორმხრივი შეხვედრები გამართა საპარლამენტთაშორისო კავშირის გენერალურ მდივანთან **მარტინ ჩუნგოგთან,** ქალ პარლამენტართა ბიუროს პრეზიდენტთან **სინტია ლოპეს კასტროსთან** და ახალგაზრდა პარლამენტართა ფორუმის პრეზიდენტთან **დან კარდენთან.**

2025 წლის 5-8 აპრილი
საპარლამენტთაშორისო კავშირის რიგით 150-ე ასამბლეა
ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა
მონაწილეები: შალვა პაპუაშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე, მაია ბითაძე, კახა ოქროჯანაშვილი, გიორგი ხელაშვილი, მაია იაკობიძე, თინათინ მგელაძე, ნინო ბუჯიაშვილი

2025 წლის 5-8 აპრილს, უზბეკეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტაშკენტში, გაიმართა საპარლამენტო კავშირის რიგით 150-ე ასამბლეა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ, პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. ღონისძიების განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა **„საპარლამენტო საქმიანობა სოციალური განვითარებისა და სამართლიანობისთვის“**.

პარლამენტის თავმჯდომარემ ასამბლეას სიტყვით მიმართა. მან ისაუბრა სოციალური განვითარების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებიც მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზეა მიმართული. მან განაცხადა, რომ ოჯახს საზოგადოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს და ამიტომ ოჯახების მხარდაჭერა სოციალური განვითარების დღის წესრიგში ცენტრალურ ადგილს იკავებს.

ამ კუთხით, პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის შექმნას, ასევე, ოჯახების მხარდამჭერ სოციალური დაცვის პროგრამებს, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამებს.

მან, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა თანასწორობის უზრუნველყოფასა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის შექმნაზე, მათ შორის, საქართველოს კანონზე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ქალებისა და კაცების თანასწორობის კონცეფციაზე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციაზე. ასევე, ისაუბრა მიღებულ კანონებზე, რომლებიც იცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

შალვა პაპუაშვილმა ისაუბრა იმ ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც ახალი გლობალური სოციალური შეთანხმების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მისი თქმით, ახალი სოციალური შეთანხმება თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს უნდა პასუხობდეს და უნდა მოიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან მიმართულებებს: ადგილობრივი და გლობალური მშვიდობის ხელშეწყობა; დემოკრატიული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა; ეკონომიკური ზრდა, რომელიც არა მხოლოდ მშპ-ზე იქნება ფოკუსირებული, არამედ, აგრეთვე, უთანასწორობების შემცირებასა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე; მდგრადი გარემოს უზრუნველყოფა, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, რაც დაიცავს ქვეყნებსა და

პლანეტას; ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკური საკითხების შესწავლა და გათვალისწინება.
სიტყვით გამოსვლის დასასრულს, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რჩება საერთაშორისო საზოგადოებასთან პარტნიორობის ერთგული და გამოხატა ნაყოფიერ განხილვებში მონაწილეობის მიღების მზაობა, რითიც შესაძლებელი გახდება წვლილის შეტანა სამართლიანი, მდგრადი და წარმატებული გლობალური საზოგადოების შექმნაში.

ორმხრივი შეხვედრები:
ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა უზბეკეთის რესპუბლიკის, ბელგიის სამეფოს, მალტის, ისრაელის, თურქეთის, ინდოეთის, ტაჯიკეთის პარლამენტების თავმჯდომარეებთან, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან და საფრანგეთის და შვეიცარიის საპარლამენტო დელეგაციებთან.

სხვა აქტივობები:
საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) 150-ე ასამბლეის ფარგლებში, პარლამენტების გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა კახა ოქროჯანაშვილმა.
2025 წლის 29-31 ივლისი
საპარლამენტთაშორისო კავშირის რიგით მე-6 პარლამენტების თავმჯდომარეთა მსოფლიო კონფერენცია
ჟენევა, შვეიცარიის კონფედერაცია
მონაწილეები: შალვა პაპუაშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე, დიანა ხომერიკი, მაია იაკობიძე, თინათინ მგელაძე, ნინო ბუჯიაშვილი
კონფერენციის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა **„საპარლამენტო თანამშრომლობა და მულტილატერალიზმი მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიმართულებით“.** ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 100-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, პარლამენტების თავმჯდომარეთა მსოფლიო კონფერენციის (IPU) გენერალურ დებატებზე გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა უცხოური დახმარების მავნე პრაქტიკაზე, რომელიც „ხშირად პოლიტიკური მიზნით ჩარევისთვის გამოიყენება, თუმცა წარმოჩენილია, როგორც დახმარება დემოკრატიულ განვითარებაში“. მისი შეფასებით, დემოკრატიზაციის სახელით განხორციელებულმა უცხოურმა ჩარევამ და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მანიპულირებამ დააზიანა შიდა დემოკრატიული ინსტიტუტები და გამოიწვია „ხალხის მმართველობის“ ჩანაცვლება „ელიენოკრატიით“, ანუ უცხოური მმართველობით.
გამოსვლაში ხაზგასმული იყო, რომ დემოკრატია წარმოადგენს ცხოვრების წესს და არა იდეოლოგიას, ხოლო დემოკრატიული დახმარების საფარქვეშ პოლიტიკური გავლენის თავსმოხვევა მის არსს ეწინააღმდეგება. ამ კონტექსტში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ინტერესები მოითხოვს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებთან დაბრუნებას, მათ შორის სუვერენიტეტის, დემოკრატიისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემას.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში - **„ინოვაციები მშვიდობიანი მომავლისთვის: ახალი გადაწყვეტების განსაზღვრა“** და დელეგატებს სიტყვით მიმართა.

პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები არასტაბილურობისგან დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს, რომლის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. ამასთან, აღინიშნა, რომ მშვიდობის მიღწევის გზაზე არსებული საფრთხეები დღეს აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ომებითა და კონფლიქტებით და მოიცავს ერების სუვერენიტეტის უგულებელყოფასა და შიდა საქმეებში ჩარევით გამოწვეულ სერიოზულ გამოწვევებს.

მან აღნიშნა, რომ ხანგრძლივი, მხოლოდ დემოკრატიული მშვიდობაა. ის უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და სამართლიანობას. მშვიდობა ეფუძნება არა მხოლოდ სამხედრო კონფლიქტების არარსებობას, არამედ ერების სუვერენიტეტის, მათი ეროვნული ინტერესების, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას.

ორმხრივი შეხვედრები:

ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა: ალბანეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესთან, მალაიზიის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარესთან, ბრაზილიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან, იორდანიის სენატის პრეზიდენტთან.

2025 წლის 19-23 ოქტომბერი

საპარლამენტთაშორისო კავშირის რიგით 151-ე ასამბლეა

ჟენევა, შვეიცარიის კონფედერაცია

მონაწილეები: გიორგი ვოლსკი, ნიკოლოზ სამხარაძე, კახა ოქროჯანაშვილი, მერი გოგოლაძე

19-23 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ, გიორგი ვოლსკის ხელმძღვანელობით, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) 151-ე ასამბლეის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში 140-მდე ქვეყნის 1400-მდე დელეგატი, მათ შორის 30-მდე პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობდა.

ასამბლეის მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა **„ჰუმანიტარული ნორმების დაცვა და ჰუმანიტარული ქმედებების მხარდაჭერა კრიზისების დროს“.**

გიორგი ვოლსკიმ სიტყვით მიმართა ასამბლეაზე შეკრებილ კოლეგებს და კრიზისების დროს ჰუმანიტარული ნორმების დაცვისა და ჰუმანიტარული ქმედებების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ საქართველო კონფლიქტებისა და ომებისაგან ერთერთი მძიმედ დაზარალებული ქვეყანაა და რომ შედეგად, საქართველოს ჰყავს ერთ სულ მოსახლეზე იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთერთი ყველაზე დიდი რაოდენობა. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ყველა დაზარალებული მოქალაქის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად, მათ შორის მათთვის, ვინც ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო ჯანდაცვის რეფერალურ პროგრამაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე და მათი მცირე ბიზნეს გრანტებით უზრუნველყოფის პრაქტიკაზე.

გიორგი ვოლსკიმ მადლიერება გამოხატა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის მიმართ, რომელიც საქართველოში მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ პროექტებს ახორციელებს.

მისივე შეფასებით, არაერთი გამოწვევის მიუხედავად, საქართველო უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ტენდენციის შენარჩუნებასა და რიგი მნიშვნელოვანი

მაჩვენებლით საერთაშორისო რეიტინგებში სტაბილური ადგილის დამკვიდრებას ლიდერ სახელმწიფოთა შორის.

პარლამენტის აპარატის უფროსმა, კახა ოქროჯანაშვილმა, მიიღო მონაწილეობა აპარატის უფროსების ფორმატით გათვალისწინებულ სხდომებში, სადაც მსჯელობა მიმდინარეობდა საპარლამენტთაშორისო კავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე აპარატების დონეზე.

ასამბლეის სხდომის დასასრულს მიღებულ იქნა საპარლამენტთაშორისო კავშირის დეკლარაცია თემაზე „ჰუმანიტარული ნორმების დაცვა და ჰუმანიტარული ქმედებების მხარდაჭერა კრიზისების დროს“.

კომიტეტის წევრებმა საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მეორე

ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში (AIPA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში, პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, **შალვა პაპუაშვილმა** სხდომაზე, კომიტეტის წევრებს წარუდგინა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, **/2025 წლის იანვარი - 2026 წლის იანვარი/** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ AIPA-ში, მონაწილეობა მიიღო რიგით 46-ე გენერალური ასამბლეის სხდომაში და ასამბლეის დროებითი სამუშაო ჯგუფის/კომისიის ყოველწლიურ შეხვედრაში

2025 წლის 14-17 ივლისი
ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (AIPA) დროებითი სამუშაო ჯგუფის/კომისიის ყოველწლიური შეხვედრა
პნომპენი, კამბოჯის სამეფო
მონაწილეები: ნიკოლოზ სამხარაძე
2025 წლის 14-17 ივლისს, კამბოჯის სამეფოს დედაქალაქ პნომპენში გაიმართა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (AIPA) დროებითი სამუშაო ჯგუფის/კომისიის ყოველწლიური შეხვედრა, რომლის შეხვედრაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრმა ნიკოლოზ სამხარაძემ. ასამბლეის აღნიშნული სხდომა მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა.
ნიკოლოზ სამხარაძემ ღონისძიებაზე შეკრებილ დელეგატებს სიტყვით მიმართა. მან აღნიშნა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ისტორიულად, კულტურულად და ეთნიკურად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და მრავალფეროვან რეგიონს წარმოადგენს, რის გამოც მისი ჩართვა გლობალური საკითხების მოგვარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.
დელეგაციის წევრმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ვითარებაზე და მადლობა გადაუხადა ასამბლეის წევრ ქვეყნებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის.
ნიკოლოზ სამხარაძემ ისაუბრა გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებზე, რუსეთის მხრიდან ოკუპაციაზე, შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და ხაზი გაუსვა მშვიდობის დასამყარებლად საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვის აუცილებლობას. მისივე თქმით, შემაშფოთებელია ტენდენცია, როდესაც ზოგიერთი ქვეყანა კრიზისების მოგვარების მოტივით მიმართავს უხეშ ძალას, რაც რეალურად

კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტებსა და საერთაშორისო კრიზისებს. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შეიარაღებული კონფლიქტების ზრდასა და მაღალი რანგის პოლიტიკოსების საომარ რიტორიკაზე, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას, და აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის, საკუთარი წვლილი შეიტანოს სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებაში.

ორმხრივი შეხვედრები:

სესიის ფარგლებში ნიკოლოს სამხარაძემ შეხვედრა გამართა კამბოჯის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან ჩემ ვიდიასთან, რომელიც ამჟამად არის ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (AIPA) გენერალური მდივანი

2025 წლის 16-22 სექტემბერი

ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (AIPA) 46-ე გენერალური ასამბლეა

კუალა-ლუმპური, მალაიზია

მონაწილეები: ნიკოლოზ სამხარაძე, ნინო ბუჯიაშვილი

2025 წლის 16-22 სექტემბერს, მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში გაიმართა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (AIPA) 46-ე გენერალური ასამბლეა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრმა ნიკოლოზ სამხარაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო წევრი, დამკვირვებელი და სტუმარი ქვეყნების 400-მდე დელეგატმა.

ნიკოლოზ სამხარაძემ პლენარულ სესიაზე შეკრებილ დელეგატებს სიტყვით მიმართა და საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე გაამახვილა და ხაზი გაუსვა შუა დერეფნის პროექტის მნიშვნელობას მთლიანად ევრაზიისთვის.

სიტყვით გამოსვლისას, მან რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ვითარებაზე და ქართველების უფლებების შელახვაზე, საოკუპაციო ხაზზე მოქალაქეების გატაცებასა და აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ქართველების გამოძევებაზე გაამახვილა ყურადღება.

ნიკოლოზ სამხარაძემ საქართველოში ეკონომიკური ზრდის შესახებ ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კანონის უზენაესობის, ბიზნესის წარმოების სიმარტივის, მთავრობის ეფექტიანობისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის საერთაშორისო რეიტინგებში, რაც ქვეყნის სწრაფ ინსტიტუციურ და ეკონომიკურ წინსვლას ასახავს. მან ასეან-ის საპარლამენტო ასამბლეის წევრ ქვეყნებს საქართველოს წარმატებული გამოცდილების გაზიარება შესთავაზა.

სხდომის ფარგლებში საქართველოს შესახებ მოსმენა გაიმართა, სადაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ საქართველოში არსებულ ტენდენციებზე ისაუბრა.

ნიკოლოზ სამხარაძემ მიმოიხილა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. ისაუბრა სხვადასხვა სფეროში განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებზე.

სიტყვით გამოსვლისას, მან ისაუბრა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მათ შორის, 2030 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზადებაზე, უსაფრთხოების გამოწვევებზე, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ვითარებაზე და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის პრობლემატიკასა და მისი მოგვარების პერსპექტივაზე.

ASEAN-ის საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების დელეგაციებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მტკიცე მხარდაჭერა გამოხატეს. მათ აღნიშნეს,

რომ საქართველოსთან აკავშირებთ კარგი პოლიტიკური ურთიერთობები და სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურის და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი გამოთქვეს.
საქართველოს შესახებ მოსმენაში მონაწილეობა მიიღეს სინგაპურის, ტაილანდის, მალაიზიის, ვიეტნამის, ინდონეზიის, ფილიპინების, კამბოჯის, ლაოსის და ბრუნეის საპარლამენტო დელეგაციებმა.

ორმხრივი შეხვედრები

გენერალური ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, ნიკოლოზ სამხარაძემ ორმხრივი შეხვედრები გამართა მალაიზიის სენატის ვიცე-სპიკერთან **ნურ ჯაზლან მოჰამედთან** და მალაიზიის დეპუტატთა პალატის საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარესთან **ვონგ ჩენთან.** შეხვედრებზე განიხილეს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ორგანიზაციის მნიშვნელობაზე. ხაზი გაესვა ორმხრივი ურთიერთობების დინამიურად განვითარებას და საინვესტიციო შესაძლებლობებს. მხარეებმა მიმოიხილეს რეგიონული უსაფრთხოების გარემო. ნიკოლოზ სამხარაძემ ისაუბრა რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე, მათ შორის რუსეთის აგრესიაზე უკრაინაში და სამხრეთ კავკასიაზე მის გავლენაზე.

კომიტეტის წევრებმა **ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში** (AIPA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მესამე

სხდომაზე, **ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში (OSCE PA)** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ წარადგინა.

- დელეგაციის წევრებმა 2025 წელს მონაწილეობა მიიღეს ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, მათ შორის ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის და შემოდგომის სხდომებში; ასამბლეის ყოველწლიურ სესიაში; ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში გამართულ „სილქ როუდ გრუპ“-ის და ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კონფერენციებში, ასევე ახალგაზრდა პარლამენტართა ქსელის შეხვედრაში. დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში.

2025 წლის 20-21 თებერვალი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ და ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ სამხარაძემ ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სხდომაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა.

ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სხდომაში, ასევე მონაწილეობდნენ: მაია ბითაძე- საქართველოს დელეგაციის წევრი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში; ლევან მახაშვილი- საქართველოს დელეგაციის სათადარიგო წევრი ევროპა-ს საპარლამენტო ასამბლეაში;

ნიკოლოზ სამხარაძე სიტყვით გამოვიდა პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების კომიტეტზე და გერმანელი მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი კომიტეტის სამომავლო ანგარიში შეაფასა, სადაც რუსეთის მიერ განხორციელებულ ოკუპაციებზე საუბრისას, საქართველო არ იყო ნახსენები.

- მე ძალიან ყურადღებით ვუსმენდი მომხსენებელს და სიმართლე გითხრათ გაკვირვებული და შეშფოთებული ვარ, რადგან რუსეთის აგრესიაზე და ოკუპაციაზე საუბრისას საქართველო არ იყო ნახსენები, ხოლო საქართველოში არსებულ ვითარებაზე საუბრისას, მომხსენებელმა არ ისაუბრა რუსულ ოკუპაციაზე. მოვუწოდებ მომხსენებელს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დაამატოს ანგარიშში.

კომიტეტის სხდომის დასასრულს, ანგარიშის მომხსენებელმა ნიკოლოზ სამხარაძის საპასუხოდ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხი აუცილებლად დაემატებოდა ანგარიშში.

ვიზიტის ფარგლებში ნიკოლოზ სამხარაძე სიტყვით გამოვიდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სამი კომიტეტის გაერთიანებულ სესიაზე, სადაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე და აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე ისაუბრა.

- ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მორიგ მცდელობას. შემაშფოთებელია, რომ ევროპული სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა არ დაგმო ე.წ. არჩევნების ჩატარება. უფრო ფართო კონტექსტში ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მსგავსი მიდგომით, ჩნდება განცდა, რომ არც ეუთო-ს და არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს არ აქვთ საკმარისი რესურსი, რომ უზრუნველყონ სტაბილურობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა და მიმდინარე ოკუპაციის დასრულება“

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ სამი კომიტეტის გაერთიანებულ სესიაზე ისაუბრა საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზეც. მისი განცხადებით, არჩევნები საქართველოში ჩატარდა პლურალისტურ გარემოში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ვენაში ვიზიტის ფარგლებში ნიკოლოზ სამხარაძემ და დელეგაციის წევრებმა გამართეს ორმხრივი შეხვედრები.

ნიკოლოზ სამხარაძე ეუთო-ს ახალ გენერალურ მდივანს, ფერიდუნ სინირლიოღლუს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ჩატარებულ არჩევნებსა და მის შემდგომ მიმდინარე მოვლენებზე. მხარეებმა მიმოიხილეს გლობალური უსაფრთხოების საკითხები და ეუთო-ს სივრცეში მიმდინარე კონფლიქტები.

შეხვედრები გაიმართა ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტის ფედერალური საბჭოს ევროკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან შტეფან შენახთან (ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) და ავსტრიის პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრთან, ანდრეას მინიხთან (ავსტრიის

სახალხო პარტია). შეხვედრებზე განხილვის ძირითადი საკითხები იყო: საქართველოში მიმდინარე პროცესები და ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები.

ეუთო-ს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ლევან მახაშვილი. მისი განცხადებით ახალმა ტექნოლოგიებმა და სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვნად შეცვალა საარჩევნო გარემო. მისი თქმით დღეს ისინი წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას დემოკრატიული პროგრესისთვის, ისე გამოწვევას საარჩევნო პროცესებისთვის.

„ახალი ტექნოლოგიების და მედიის მხრიდან დემოკრატიული პროცესის მდგრადობისა და საარჩევნო მთლიანობის განსამტკიცებლად, აუცილებელია, რომ მათი გამოყენება ხდებოდეს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების უპირობო დაცვით“, - განაცხადა ლევან მახაშვილმა.

ასევე, ლევან მახაშვილმა ეუთო-ს კომიტეტების გაერთიანებულ სხდომას სიტყვით მიმართა, სადაც საქართველოს უსაფრთხოებასა და საერთაშორისო გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება.
მისი თქმით, მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ჩვენი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო რთული, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილებები – გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნებოდა საფრთხეების მასშტაბების რეალისტურ ანალიზს.

სხდომის ფარგლებში, დელეგაციის წევრმა, მაია ბითაძემ მონაწილეობა მიიღო ეკონომიკურ საკითხთა, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის მუშაობაში და ეკო მიგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე სიტყვით გამოვიდა.

ეკო მიგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის გზებზე საუბრისას, მაია ბითაძემ ხაზი გაუსვა ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას, აგრეთვე ეუთო-ს წამყვან როლს მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში.

„ბოლო წლებში საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რიცხვი, მათ შორის წყალდიდობა, გვალვა და ტყის ხანძრები, 30%-ზე მეტით გაიზარდა. ამ ფონზე საგულისხმოა სოფლის მეურნეობის სექტორის მოწყვლადობის ზრდაც, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად არის დამოკიდებული. საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და მასთან ადაპტაციის მიმართულებით, ამ კუთხით აღსანიშნავია, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარება და ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვა“, - განაცხადა მაია ბითაძემ.

2025 წლის 14-15 მარტი. სლოვენიის რესპუბლიკის ქ. ლიუბლიანაში ახალგაზრდა გაიმართა პარლამენტართა ქსელის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრმა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ლევან მახაშვილმა.

კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნა დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაუმჯობესების გზები, მათ შორის, ახალგაზრდული მიგრაციის პრობლემური საკითხები და ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც თანამედროვე ახალგაზრდობა დგას.

ღონისძიებაზე გაიმართა ახალგაზრდა პარლამენტართა ქსელის საქმიანობის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ახალგაზრდების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის, ლიდერული უნარების განვითარების და ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში კომიტეტის თავმჯდომარემ ვალდებულება აიღო საქართველოში ჩაეტარებინა შესაბამისი საინფორმაციო ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას. სწორედ ამ მიზნით, 2025 წლის 28 აპრილს გაიმართა ვორქშოპი, რომელიც ახალგაზრდული მიგრაციის პოლიტიკის ფორმირების საკითხებს მიეძღვნა.
ღონისძიება გახსნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანმა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან მახაშვილმა და ამავე კომიტეტის წევრმა გიორგი ჩაკვეტაძემ. კონფერენციაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილეობდნენ ახალგაზრდები.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების მიერ შემუშავებული რეზოლუცია და მასში ასახული რეკომენდაციები 2025 წლის ივლისში, პორტუგალიის რესპუბლიკაში, ქალაქ პორტოში გამართულ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში აისახა.

2025 წლის 4-7 მაისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოდ მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ სამხარაძემ მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის „სილქ როუდ გრუპ“-ის კონფერენციაში, რომელიც მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ეკოლოგიის საკითებზე გაიმართა.

მონტენეგროში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ სამხარაძე მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარეს, ანდრია მანდიჩს შეხვდა.

მხარეებმა საქართველო-მონტენეგროს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე, საპარლამენტო კავშირების გაძლიერებაზე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს.

შეხვედრისას განიხილეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების - საქართველოსა და მონტენეგროს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და ამ მიმართულებით ერთმანეთს საკუთარი ქვეყნის გამოცდილებები გაუზიარეს.

2025 წლის 4-7 ივნისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ სამხარაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. რომში (იტალიის რესპუბლიკა), სადაც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეისა და იტალიის რესპუბლიკის პარლამენტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია ეუთო-ს რეგიონში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში იყო ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - ლევან მახაშვილი.

ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების 80-მდე პარლამენტის წევრმა. მათ კორუფციასთან ბრძოლისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე იმსჯელეს.

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით საქართველოს გამოცდილებაზე.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის წევრი ლევან მახაშვილი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის და იტალიის პარლამენტის ერთობლივ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

მისი განცხადებით, 2025 წლის გლობალური ტერორიზმის ინდექსის თანახმად, საქართველო შეფასდა, როგორც ქვეყანა, რომელსაც ტერორიზმის გავლენის ნულოვანი მაჩვენებელი აქვს. მისივე თქმით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2024 წლის ანგარიშში საქართველო ასევე კვლავ დასახელებულია, როგორც სანდო და სტაბილური პარტნიორი გლობალურ ანტიტერორისტულ ძალისხმევაში. სიტყვით გამოსვლისას, ლევან მახაშვილმა საქართველოში ტერორიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის მიზეზებზეც ისაუბრა.

2025 წლის 29 ივნისი- 4 ივლისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ სამხარაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. პორტოში, პორტუგალიაში, სადაც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესია ჩატარდა.

დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტზე სიტყვით გამოსვლისას ნიკოლოზ სამხარაძემ მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს შესახებ გაკეთებული შესწორებები, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს ეხებოდა. მისი თქმით, აღნიშნული შესწორებები მრავალი თვალსაზრისით იყო აბსურდული.

ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ საქართველო ეუთო-ს აქტიური წევრია და ეუთო-ს საქართველოში პატივს სცემენ. დამატებით პუნქტებში ასახული აბსურდული განცხადებებით ეუთო დაკარგავს ქართულ საზოგადოებაში სანდოობას.

ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ სამხარაძემ მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. სიტყვით გამოსვლისას ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ეგზისტენციალურ კრიზისშია და ეუთო-მ ვერ შეძლო შეეჩერებინა რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოსა და უკრაინაში, ასევე ვერ ახერხებს სხვა კონფლიქტების რეგულირებას.

ნიკოლოზ სამხარაძემ გააკრიტიკა საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს შესახებ დამატებული შესწორებები. მისი თქმით, კომიტეტებში გამართულ დებატებზე ნათლად გამოჩნდა, რომ ქვეყნის მიმართ ბრალდებები უსაფუძვლო იყო.

ნიკოლოზ სამხარაძის ინიციატივით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს ოკუპირებული რეგიონების შესახებ ჩანაწერები დაემატა. ანგარიშში აისახა ცვლილება, რომლის მიხედვით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა უარყოფს ნებისმიერ მცდელობას, ლეგიტიმაცია მიანიჭოს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჩატარებულ არჩევნებს, მათ შორის 2025 წლის 2 მარტს აფხაზეთში

ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც საერთაშორისო სამართლით არ არის აღიარებული და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის პირდაპირ გამოწვევას წარმოადგენს.

ასევე ნიკოლოზ სამხარაძის ინიციატივით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ ანგარიშში დაემატა ჩანაწერი, რომელიც მოუწოდებს სირიის ახალ ხელისუფლებას, გააუქმოს როგორც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ასევე უკრაინის ტერიტორიების - დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარება.

ჩანაწერის თანახმად, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს სირიის ახალ ხელისუფლებას, აღიაროს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა.

საპარლამენტო დელეგაციის წევრი, მაია ბითაძე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველო სტაბილურობას ინარჩუნებს.

„იმის ფონზე, როდესაც ომი ჩვენი რეგიონის საზღვრებს ცვლის - უკრაინიდან შუა აღმოსავლეთამდე, საქართველო, დიდი წნეხის მიუხედავად, სიმშვიდის იშვიათ კუნძულად რჩება. „- განაცხადა მაია ბითაძემ

მისივე განცხადებით, ეუთო-ს როლის დაკნინება პოლიტიზირებული დაკვირვებისა თუ შერჩევითი კრიტიკის გზით, საქართველოს მიმართ მხოლოდ უსამართლო მიდგომას არ წარმოადგენს, არამედ იგი ძირს უთხრის ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპებსა და კოლექტიურ უსაფრთხოებას.

„საქართველოში ახალი არჩევნების მოთხოვნა, მიუხედავად ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის დადებითი შეფასებისა, თავად ეუთო-ს სანდოობას და არსს აზიანებს. ასეთი განცხადებები ასახავს იმ რადიკალური ოპოზიციური ძალების რიტორიკას, რომელსაც ქართველმა ხალხმა უარი უთხრა და რისკის ქვეშ აყენებს ეუთო-ს მნიშვნელოვან როლს. მოგიწოდებთ, პატივი სცეთ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის დასკვნებს და თავი შეიკავოთ საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შერყევისგან“,-აღნიშნა მაია ბითაძემ.

როგორც მან აღნიშნა, ბოლო დროს, საქართველოს მიმართ კრიტიკული მოსაზრებები ისმის იმ სტანდარტების გამოყენებისთვის, რომლებსაც დასავლური ქვეყნები თავად იყენებენ საკუთარი სუვერენიტეტისა და ინსტიტუტების დასაცავად.

2025 წლის 16-19 ნოემბერი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სამხარაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რიგით 23-ე საშემოდგომო სესია გაიმართა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე , მაია ბითაძე.

ნიკოლოზ სამხარაძე სიტყვით გამოვიდა კონფერენციაზე „პერსპექტივების დაახლოება: დიალოგის, მედიაციისა და ნდობის განმტკიცება ცვალებად ეპოქაში“.

ნიკოლოზ სამხარაძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა ჰელსინკის დასკვნითი აქტის მნიშვნელობაზე, რომელიც 50 წლის შემდეგაც აქტუალურია.

- ჰელსინკის დასკვნითი აქტის 50 წლის იუბილე წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დოკუმენტი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად, დღეს კვლავ აქტუალურია. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ კეთილი მიზნებით შექმნილი მექანიზმები ხშირად იდეოლოგიური დამახინჯებისა და პოლარიზაციის ობიექტად იქცევა. ათწლეულების განმავლობაში აგრესიის, ტერიტორიების ოკუპაციის, რომლის პირველი სამწუხარო მაგალითიც საქართველოა, კონფლიქტებისა და შიდა დესტაბილიზაციის ხელშეწყობის პირობებში, რიგი პოლიტიკური ძალები კვლავაც ვერ სწავლობენ წარსულის გაკვეთილებს.

მან თავის გამოსვლაში ისაუბრა თანამედროვე პოლიტიკურ ტენდენციებსა და საერთაშორისო აქტიორების მხრიდან ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევაზე.

ნიკოლოზ სამხარაძე სიტყვით გამოვიდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რომელიც ადამიანის უფლებების საკითხებს მიეძღვნა.

ნიკოლოზ სამხარაძემ სიტყვით გამოსვლისას რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და მათ წინაშე არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. ბოლო პერიოდში მუდმივი საცხოვრებელი გადაეცა 61 000 ოჯახს.

- რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად, ჯერ 1992 წელს და შემდეგ 2008 წელს, ამ ტერიტორიებზე განხორციელდა ეთნიკური წმენდა. მუდმივად ილახება ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის უფლებები. ეთნიკურად ქართველ ბავშვებს შესაძლებლობა არ ეძლევათ სკოლებში განათლება მიიღონ ქართულ ენაზე. მიმდინარეობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის წაშლის მცდელობა, რაც გამოიხატება ქართული ეკლესიების, სასაფლაოებისა და ქართველების სახლების ნგრევით.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა უკრაინელ ლტოლვილებზე, რომლებიც რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ უკრაინა. მისივე ინფორმაციით, საქართველოში მყოფი 30 000-მდე უკრაინელი ლტოლვილი იმავე უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობს, რითაც სარგებლობენ ქართველი იძულებით გადაადგილებული პირები.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 23-ე შემოდგომის სესის ფარგლებში სიტყვით გამოვიდა მაია ბითაძე. მან ყურადღება გაამახვილა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე, ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობასა და საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

მისი თქმით, საქართველო მიესალმება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო პროცესის პროგრესს.

„ეს რეალურ შესაძლებლობას ქმნის რეგიონული სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. როგორც ისტორიული აბრეშუმის გზის სახელმწიფო, საქართველო მზადაა დარჩეს ნეიტრალური და საიმედო პარტნიორი, ხელი შეუწყოს მდგრად კავშირსა და მდგრადობას მთელ ჩვენს რეგიონში. ფაქტები თავისთავად მეტყველებს. საქართველოს როლი შუა დერეფანში სწრაფად იზრდება: მხოლოდ 2024 წელს,

სატრანსპორტო ნაკადის მოცულობა 62%-ით გაიზარდა, ხოლო რკინიგზის მოდერნიზაცია სწრაფად ზრდის მის გამტარუნარიანობას.“ - განაცხადა მაია ბითაძე.

2025 წლის 29 ნოემბერი-1 დეკემბერი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ სამხარაძე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ლევან მახაშვილთან ერთად იმყოფებოდა ყირგიზეთში.

მათ მონაწილეობა მიიღეს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით ორგანიზებულ ყირგიზეთის რესპუბლიკის 30 ნოემბერს გამართულ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიაში.

კომიტეტის წევრებმა **ASEAN-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში** (AIPA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მეოთხე

კომიტეტის სხდომაზე **ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში (NATO PA**) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ სამხარაძემ წარადგინა.

- ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ 2025 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ ოთხ ღონისძიებაში:

- ხმელთაშუა და ახლო აღმოსავლეთის სპეციალური ჯგუფისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტის ერთობლივი სემინარი/შეხვედრა. ქ. ანტალია, თურქეთის რესპუბლიკა. 28-30 აპრილი, 2025;
- ასამბლეის საგაზაფხულო სესია ქ. დეიტონი, ოჰაიოს შტატი. ამერიკის შეერთებული შტატები. 22-24 მაისი, 2025;
- ასამბლეის „როუზ-როთ“-ის რიგით 108-ე სემინარი, ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა. 22-23 სექტემბერი, 2025;
- ასამბლეის რიგით 71-ე წლიური სესია ქ. ლიუბლიანა, სლოვენიის რესპუბლიკა. 10-13 ოქტომბერი, 2025.

ხმელთაშუა და ახლო აღმოსავლეთის სპეციალური ჯგუფისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტის ერთობლივი სემინარი/შეხვედრა
ქ. ანტალია, თურქეთის რესპუბლიკა
/28-30 აპრილი, 2025/

1. 2025 წლის 28-30 აპრილს, თურქეთის ქალაქ ანტალიაში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის და თურქეთის პარლამენტის ორგანიზებით გაიმართა ასამბლეის ხმელთაშუა და ახლო აღმოსავლეთის სპეციალური ჯგუფის და ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტის ერთობლივი სემინარი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ, რომელსაც გივი მიქანაძე ხელმძღვანელობდა.

2. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებული ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევები, ტერორიზმთან ბრძოლა, მიგრაცია და ნატო-სთან თანამშრომლობა. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას და უკრაინაში მიმდინარე ომს. დამატებით აღინიშნა ნატო-ს ინტერესი რეგიონთან ურთიერთობების გაღრმავების, ახალი უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვაში და ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებს თვალსაზრისით.

3. შავი ზღვის რეგიონის განხილვისას, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე რეგიონში უსაფრთხოების კუთხით გამოწვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ აღნიშნეს, რომ კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა არ ჩანს ეფექტური და საჭიროა დიპლომატიური ძალისხმევის გაძლიერება. დისკუსიის ფარგლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ევროკავშირის ქვეყნები უნდა გახდნენ უსაფრთხოების გარანტორები, დამატებით აღინიშნა ომის შედეგად შავი ზღვის განაღმვითი სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა, რომელიც რიგ გამოწვევებს წარმოშობს შავ ზღვაში მოძრავ ხომალდებისათვის. ასევე, გამოითქვა მოსაზრება საქართველოსთან და უკრაინასთან თანამშრომლობის გაღრმავების და გაფართოების აუცილებლობაზე.

4. შეხვედრის ფარგლებში, გივი მიქანაძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოში 28 აპრილს დაწყებულ „ნატო-საქართველოს სწავლება 2025“-ზე და ხაზი გაუსვა ერთობლივი წვრთნების მნიშვნელობას, ასევე ნატო-სა და საქართველოს შორის არსებულ მჭიდრო მრავალწლიან თანამშრომლობას.

5. დისკუსიის ფარგლებში საქართველოს დელეგაციის წევრმა მარიამ ლაშხმა ყურადღება გაამახვილა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე და აღნიშნა საერთაშორისო მხარდაჭერის აუცილებლობა ამ პროცესში.

6. ღონისძიებას ესწრებოდა 121 წარმომადგენელი მსოფლიოს 35 ქვეყნის პარლამენტებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ასამბლეის საგაზაფხულო სესია ქ. დეიტონი, ოჰაიოს შტატი. ამერიკის შეერთებული შტატები

/22-24 მაისი, 2025/

1. საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში 22-26 მაისს ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონში გამართულ ასამბლეის საგაზაფხულო სესიაში.
2. საქართველოს პარლამენტის დელეგაცია შედგებოდა შემდეგი წევრებისგან: გივი მიქანაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ლევან მახაშვილი და მარიამ ლაშხი.
3. საგაზაფხულო სესიის დღის წესრიგის მთავარი აქცენტები გაკეთდა დემოკრატიული მედეგობის გაძლიერებაზე, დეიტონის ხელშეკრულების 30 წლისთავზე მიღწეულ პროგრესზე და ასევე საუბარი შეეხო შავი ზღვის რეგიონში და უკრაინაში რუსულ სამხედრო აგრესიას.

4. სესიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა რიგ ნატო-ს წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციების წარმომადგენლებთან. კერძოდ, შეხვედრები გაიმართა თურქეთის, სლოვენიის, ესპანეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, უნგრეთის, რუმინეთის, პორტუგალიის, იტალიის დელეგაციებთან და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან და მის მოადგილესთან.
5. შეხვედრებისას მხარეებმა განიხილეს შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი.
6. ასევე, საუბრისას, დელეგაციის წევრებმა აქცენტი გააკეთეს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს მნიშვნელოვან საკვანძო როლზე, როგოც რეგიონალური სტაბილურობისა და საერთაშორის თანამშრომლობის აქტიურ და სანდო პარტნიორზე.
7. შეხვედრებისას, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებს შესაძლებლობა ქონდა ესაუბრათ მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით ქართული მხარის ხედვებზე. სადაც ხაზგასმით აღინიშნა ევროატლანტიკურ გზაზე საქართველოს სრული მხარდაჭერა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მნიშვნელოვან როლზე საპარლამენტო დიპლომატიის და საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.
8. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში დელეგაციის ხელმძღვანელმა გივი მიქანაძემ, ასამბლეის ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტზე გამოსვლით სიტყვაში აქცენტი გააკეთა საქართველოს ძალისხმევაზე დასვლეთის მიერ რუსეთისადმი დაწესებულ სანქციების დაცვის კუთხით. ასევე, მან აღნიშნა რომ საქართველოს ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც უფრო მეტად დასაფასებელია ქვეყნის ორი რეგიონის ოკუპაციის და რეგიონში არსებული რთული უსაფრთხოების გარემოს ფონზე. ასევე, დელეგაციის ხელმძღვანელმა კომიტეტს მიერ შემუშავებულ ანგარიში წარადგინა რიგი ცვლილებები, რომლებიც ეხება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ჭრილში საქართველოს მნიშვნელოვან როლს.

ასამბლეის „როუზ-როთ“-ის რიგით 108-ე სემინარი,
ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა
/22-23 სექტემბერი, 2025/

1. 22-23 სექტემბერს, სომხეთის რესპუბლიკაში გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ორგანიზებული „როუზ-როთ“-ის რიგით 108-ე სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრებმა: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ლაშხმა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან მახაშვილმა.
2. სემინარის მთავარ თემას წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები და ამ კონტექსტში რეგიონალური ქვეყნების დემოკრატიული განვითარება, უსაფრთხოების გარემო და პოლიტიკურ-ეკონომიკური დინამიკა.

3. ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებას, მის პოლიტიკურ და უსაფრთხოების შედეგებსა და რეგიონულ სტაბილურობაზე გავლენას.
4. სემინარში მონაწილე სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს სომხეთის დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის კურსი, ხაზი გაუსვეს მის მნიშვნელობას რეგიონალური მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის განმტკიცების პროცესში.
5. დისკუსიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებმა დადებითად შეაფასეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეული სამშვიდობო შეთანხმებას, აგრეთვე სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების მიმდინარე პროცესი და აღნიშნეს მათი პოზიტიური გავლენა რეგიონის ეკონიმიკურ განვითარებასა და უსაფრთხოების არქიტექტურაზე. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს კონსტრუქციულ და მედიატორულ როლზე ერევანსა და ბაქოს შრის მშვიდობის მშენებლობის პროცესში.
6. სემინარის ფარგლებში, მარიამ ლაშხმა და ლევან მახაშვილმა ასევე წარმოადგინეს საქართველოს ხედვები სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებსა და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშრებით.

ასამბლეის რიგით 71-ე წლიური სესია
ქ. ლიუბლიანა, სლოვენიის რესპუბლიკა
/10-13 ოქტომბერი, 2025/

1. საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობა მიიღო სლოვენიის რესპუბლიკის ქ. ლიუბლიანაში 10-13 ოქტომბერს გამართულ ასამბლეის რიგით 71-ე წლიურ სესიაში.
2. საქართველოს პარლამენტის დელეგაცია შედგებოდა შემდეგი წევრებისგან: ნიკოლოზ სამხარაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ლევან მახაშვილი და მარიამ ლაშხი.
3. სესიის ფარგლებში საქართველოს დელეგაციის წევრებმა ასამბლეის კომიტეტების მიერ მომზადებულ ანგარიშებისა და რეზოლუციის განხილვისას წარადგინეს რიგი ცვლილებები. აღნიშნული შესწორებები ასახავდა საქართველოს მიერ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ძირითად ტენდენციებს და ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ რთულ მდგომარეობას. ასევე, წარდგენილი ცვლილებები ეხებოდა ქვეყნის უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს.
4. საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებმა ასამბლეის ხელმძღვანელობასთან გამართული დისკუსიის ფარგლებში ხაზი გაუსვეს საქართველოს მტკიცე ერთგულებას ალიანსის საერთო ღირებულებებისა და მის დღის წესრიგის.
5. ასევე, აღსანიშნავია, რომ ასამბლეის პლენალურ სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ასოცირებული სტატუსის კატეგორიიდან გადაინაცვლა ახალ კატეგორიაში: პარტნიორები ყოვლისმომცველი უსაფრთხოებისათვის. აღნიშნული ინსტიტუციონალური

ცვლილება მიზნად ისახავს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან ურთიერთობების გაღრმავებას და გაფართოვებას.

6. სესიის ფარგლებში, ასევე მნიშვნელოვანი მოწოდებები გაჟღერდა ალიანსის ქვეყნების თავდაცვითი ხარჯების 5% გაზრდაზე, ტრანსატლანტიკური თავდაცვითი ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ბაზების გაძლიერებაზე, უკრაინისადმი მტკიცე მხარდაჭერის გაძლიერებაზე და გაგრძელებაზე, ალიანსისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში უსაფრთოხების გაძლიერებაზე, მათ შრის შავი ზღვის რეგიონშიც.

7. ასევე, პლენალურ სესიაზე, ასამბლეის წევრებმა ოფიციალურად დაამტკიცეს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ახალი გენერალური მდივანი - ბენედეტა ბერტი.

კომიტეტის წევრებმა **ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში** (NATO PA) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მეხუთე

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის, სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეაში **(GUAM PA)** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში, დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით მათიკაშვილმა წარადგინა.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, /2025 წლის იანვარი - 2026 წლის იანვარი /სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში 2025 წლის 3 მარტს გაიმართა წინა წელს დაგეგმილი სუამის საპარლამენტო ასამბლეის სესია. ამავე პერიოდში, საქართველოს თავმჯდომარეობით შედგა 2025 წლის დეკემბრის ბოლოს დაგეგმილი ყოველწლიური საპარლამენტო ასამბლეის საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობა და კოორდინაცია.

2025 წლის 3 მარტი
სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტები, ბიურო და სესია
ვირტუალური ფორმატი
მონაწილეები: თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე რამიშვილი (საპარლამენტო დელეგაციის მდივანი)
2025 წლის 3 მარტს, აზერბაიჯანის თავმჯდომარეობით, ვირტუალურ ფორმატში გაიმართა სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **თორნიკე ჭეიშვილმა**. შეხვედრაში საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ეროვნული საპარლამენტო დელეგაციების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები მონაწილეობდნენ.
სესიის განმავლობაში დეპუტატებმა მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, ბიუროს სხდომაზე დაამტკიცეს დასკვნითი დოკუმენტის - ასამბლეის კომუნიკეს საბოლოო ვარიანტი და სიტყვით გამოვიდნენ ასამბლეის შეხვედრაზე.
კომიტეტების ერთობლივი შეხვედრის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს წარმომადგენელმა, **თორნიკე ჭეიშვილმა** განაცხადა, რომ სუამის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ძლიერი დარგობრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა ყოველთვის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. დეპუტატის

აზრით, საჭიროა დიალოგის, ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის წახალისება და ახალი პროექტებისა და ინიციატივებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სუამის რეგიონში ფართო შესაძლებლობები იკვეთება ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის მიმართულებით, რომლის განხორციელებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ეროვნულ პარლამენტებსაც.
ასამბლეის დღის წესრიგით გათვალისწინებული თემები იყო სუამის რეგიონში ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის დაცვა, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მდგრადობის შენარჩუნება. სესიაზე გამოსვლისას, **თორნიკე ჭეიშვილმა** ისაუბრა სუამის რეგიონში იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. მან ხაზი გაუსვა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობას და დეპუტატებს გააცნო ის პრიორიტეტები, რომლებიც ამ მიმართულებით საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგშია.
სესიის ბოლოს, ასამბლეამ მიიღო დასკვნითი დოკუმენტი - ასამბლეის კომუნიკე.

2025 წლის ნოემბერი
სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის სესიის მომზადება.
2025 წლის ნოემბერში სუამის საერთაშორისო სამდივნოსთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება დეკემბრის ბოლოს საქართველოს თავმჯდომარეობით ასამბლეის გამართვის საორგანიზაციო საკითხებზე. საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, მხარეებთან შეთანხმებით ჩაინიშნა 22 დეკემბერს. საქართველო მზად იყო თავმჯდომარეობა გაეწია ასამბლეის ყოველწლიური სესიისთვის.
თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დრომდე ვერ მოხერხდა უშუალოდ სუამის ორგანიზაციაში აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთვის თავმჯდომარეობის ოფიციალურად გადაცემის პროცედურების ინიცირება, დელეგაცია იძულებული იყო საპარლამენტო ასამბლეის სხდომა იმ სამომავლო პერიოდისთვის გადაედო, როდესაც სუამის ორგანიზაციაში თავმჯდომარეობა საქართველოს ოფიციალურად გადაეცემა. თავმჯდომარეობის გადაცემის ოფიციალური პროცედურების შესრულების აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ასამბლეის რეგლამენტის მე-5 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ასამბლეის თავმჯდომარეა იმ ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც თავმჯდომარეა უშუალოდ ორგანიზაცია სუამში. ამჟამად კი ორგანიზაციის თავმჯდომარეა აზერბაიჯანი.

კომიტეტის წევრებმა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის, სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეაში **(GUAM PA)** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში, ცნობად მიიღეს;

საკითხი მეექვსე

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში **(IAO)** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ანგარიში სხდომაზე დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ირაკლი ქადაგიშვილმა** წარადგინა.

/პერიოდი: 2025 წლის იანვარი - 2026 წლის იანვარი/

დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო:

1- მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს გაზაფხულის სხდომა;

2- მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 32-ე ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სხდომა;
3- მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს შემოდგომის სხდომა.

❖ <u>2025 წლის 10-17 მარტი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა</u>

მივლინების მიზანი: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (**Interparliamentary Assembly on Orthodoxy (IAO)** საერთაშორისო სამდივნოს საგაზაფხულო სხდომასა და პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა

დელეგაციის შემადგენლობა: ირაკლი ქადაგიშვილი, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი; **ნიკოლოზ სამხარაძე,** სპეციალური სტუმარი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე; ლიკა ფერაძე, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი.

აქტივობები: საერთაშორისო სამდივნოს საგაზაფხულო სხდომა, საერთაშორისო სამდივნოს წევრების სამუშაო შეხვედრები, ასამბლეის მიერ არაბულ ენაზე გამოცემული ალბომის პრეზენტაცია

2025 წლის 10-17 მარტს მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს დელეგაცია ეწვია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას, გენერალური მდივნის, დოქტორ, **მაქსიმოს ჩარაკოპულოსის** ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ დეპუტატები შემდეგი ქვეყნებიდან: ეგვიპტე, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, საბერძნეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, იორდანია, კვიპროსი, მონტენეგრო, პალესტინა, რუმინეთი, სერბეთი, სუდანი; ასევე **IAO**-ს მრჩეველი, დოქტორი **კოსტას მიგდალისი,** ზამბიისა და მოზამბიკის **არქიეპისკოპოსი იოანისი,** რომელიც ასევე არის **IAO**-სთან პან-აფრიკული პარლამენტის (**PAP**) მეკავშირე, ხოლო სპეციალური სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ **ათანასიოს ბურასი,** საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, **ანელი აკერმანი**, ესტონეთის პარლამენტის წევრი და **ნიკოლოზ სამხარაძე,** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

1) ვიზიტი ალექსანდრიაში. **IAO**-ს საერთაშორისო სამდივნოს წევრებმა ეგვიპტეში ვიზიტი დაიწყეს ქალაქ ალექსანდრიიდან, სადაც ეწვივნენ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას, ადგილს სადაც თანამედროვე ცოდნა და ისტორია ჰარმონიულად თანაარსებობს და შეხვედრა გამართეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორთან, ეგვიპტის სენატის წევრთან, პროფესორ **აჰმედ აბდულა ზაიდ ჰეგაბთან.** შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი შეეხო ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთობების გამყარებას, ხოლო შეხვედრის დასასრულს დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს იმედი, რომ ბიბლიოთეკა თავისი საქმიანობით კვლავაც გააგრძელებს სინათლის გამოსხივებას და დაეხმარება ადამიანებს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის ღირებულების უკეთ შემეცნებაში.

ალექსანდრიაში მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა **ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის უნეტარეს პაპსა და პატრიარქთან, თეოდორე II-თან,** რომელმაც **IAO**-ს

გენერალურ მდივანი დააჯილდოვა ალექსანდრიის ლომის ორდენის უფროსი ტაქსიარქისა და დალუქული საპატრიარქო სიგელით, მართლმადიდებლური ღირებულებების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი ფასეული წვლილისთვის და ალექსანდრიის საპატრიარქოს საქმიანობის მხარდაჭერისთვის. IAO-ს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა, რუმინეთის პარლამენტის წევრმა, **იოან ვულპესკუმ** კი მის უნეტარესს გადასცა საერთო აღდგომის შესახებ დეკლარაცია, რომელიც IAO-მ მიიღო ევროპის რიგ სხვა ქრისტიანულ ორგანიზაციებთან ერთად.

ალექსანდრიის „ბერძნულ კვარტალში“ დელეგაციას უმასპინძლა ალექსანდრიის ბერძნული თემის პრეზიდენტმა, **ანდრეას ვაფეიადისმა,** სადაც ინფორმაციული შეხვედრა გაიმართა ავეროფიის სკოლის შენობაში სკოლის დირექტორთან, **აფროდიტი პევერეტუსთან.**

ბოლოს IAO-ს წევრები ეწვივნენ ნილოსის დასავლეთით მდებარე წმინდა ბიშოის მე-4 საუკუნის კოპტურ მონასტერს ნიტრას ხეობაში, სადაც დეპუტატების მეგზური იყო **მამა ონუფრიოსი,** რომელიც დელეგაციის წევრებს ესაუბრა მონასტრის ისტორიასა და კოპტი ქრისტიანების მდგომარეობის შესახებ ეგვიპტეში.

2) წმინდა ეკატერინეს მონასტრის მონახულება სამხრეთ სინას მთაზე. IAO-ს დელეგაცია ეწვია სამხრეთ სინას მთაზე განლაგებულ წმინდა ეკატერინეს მონასტერს, სადაც მათ შეხვედრა გამართეს მონასტრის მღვდელმსახურებთან, მოინახულეს ფასდაუდებელი სულიერი და ისტორიული მნიშვნელობის ხატების მუზეუმი და მონასტრის ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელიც სათუთად ინახავს ათასობით უძველეს ხელნაწერს, მათ შორის ქართულ ენაზე.

შეხვედრაზე **მამა აკაკიოსმა** დელეგაციის წევრებს გააცნო სინაის, ფარანისა და რაითოს **არქიეპისკოპოსის დამიანოს** მისასალმებელი სიტყვა, რომელმაც ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო შეხვედრაზე დასწრება. მისი უწმინდესობა თავის მისასალმებელ სიტყვაში სხვა საკითხებთან ერთად საუბრობს წმ. ეკატერინეს მონასტრის ფასეულობაზე „ჩვენი მონასტერი წარმოადგენს კაფსულას, მოგონებების ბანკს, რომელსაც ევროპა იცავდა და ინახავდა თავის გარეთ, წმინდა ადგილას, რათა რეალისტურად შეეხსენებინა მისთვის ყველაფერი, რომ დრო, ან თუნდაც დროის ახირება ხშირად უწყობს ხელს მის დავიწყებას, ფესვებიდან გაუცხოებას. ჩვენი მონასტერი მთლიანობაში ევროპული და დასავლური ცივილიზაციისთვის არის წინდახედულობის, სულიერი ასახვის და თვითშეგნების საშუალება. ჩვენ ვიცავთ ჩვენს და თქვენს წმინდა რელიქვიებს, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულია ჩვენი წმინდა ხატებისა და ხელნაწერების კოლექცია, ბიზანტიისა და ევროპის სულიერი საკუთრება, როგორც კულტურისა და ისტორიულობის მემკვიდრეობა“.

IAO-ს გენერალურმა მდივანმა, დოქტორმა **მაქსიმოს ჩარაკოპულოსმა,** წმ. ეკატერინეს მონასტრის ღვთისმსახურთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა თუ რა დიდი სიხარულია დელეგაციის თითოეული წევრისთვის უდაბნოს შუაგულში მსოფლიოში უძველესი მართლმადიდებლური ოაზისის სტუმრობა, სადაც საუკუნეების მანძილზე დაუღალავი ბერები იცავდნენ ჩვენს სარწმუნოებას. მისი თქმით აღსანიშნავია მონასტრის ურთიერთობა მუსულმანურ თემთან და ადგილობრივ ბედუინებთან, და ზოგადად ეგვიპტის სახელმწიფოსთან რაც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე და მონასტრის უძველესი პრივილეგიების შენარჩუნებაზე, „რაც ასევე გვაძლევს მისაბაძ მაგალითს ისეთი ორგანიზაციებისათვის, როგორიცაა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელსაც სურს სამყარო არსებობდეს შერიგებისა

და თანამშრომლობისათვის, შეუწყნარებლობისა და რელიგიური ფანატიზმის გარეშე“- განაცხადა მან.

სპეციალური შეხვედრა შედგა სამხრეთ სინას რეგიონის გუბერნატორთან, დოქტორ **ხალედ მუბარაქთან,** სადაც ისაუბრეს სინას რეგიონის შესახებ. გუბერნატორმა დელეგაციის წევრებს ამცნო, რომ სინას რეგიონი იქცა რელიგიური შემწყნარებლობის ადგილად, სადაც შენდება ახალი ავტომაგისტრალები, ტურისტული ობიექტები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია წმ. ეკატერინეს სახელობის აეროპორტის მშენებლობა, რომელიც გაიხსნება 2026 წლის აპრილში. რადგან წლევანდელი აღდგომა ემთხვევა იუნესკოს მსოფლიო დღეს, გუბერნატორმა დელეგაციის წევრები დაპატიჟა ამ დღისადმი მიძღვნილ ინაუგურაციის ცერემონიაზე და დღესასწაულებზე. დასასრულს, საერთაშორისო სამდივნოს წევრებმა გუბერნატორის პირით მადლობა შეუთვალეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს, **აბდელ ფათაჰ ალ-სისის** იმ განსაკუთრებული ინტერესისთვის, რომელიც მან გამოიჩინა წმინდა ეკატერინეს მონასტრის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციის საქმეში.

3) **ვიზიტი კაიროს კოპტურ საპატრიარქოში და ალბომის „აია სოფია. ღვთის სიბრძნის ეკლესიები მთელს მსოფლიოში“** პრეზენტაცია. კაიროში, დელეგაცია ეწვია კოპტური ეკლესიის საპატრიარქოს და შეხვედრა გამართა კოპტური ეკლესიის **პატრიარქ თეოდორიუს II-თან.** კოპტი ქრისტიანი პატრიარქი მიესალმა საერთაშორისო სამდივნოს მონაწილე თითოეული ქვეყნის პარლამენტის წევრს, მათ შორის საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებს და განაცხადა: "მოხარული ვარ ამ მეგობრობით, რომელიც ახლა იწყება. ეგვიპტე ინარჩუნებს კარგ ურთიერთობას იმ ქვეყნებთან, რომლებსაც თქვენ წარმოადგენთ. შეხვედრაზე IAO-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით ე.წ. ქრისტიანული სამყარო პასუხისმგებელია ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების მომავალზე, ლტოლვილების თავიანთ სახლებში დაბრუნებაზე და იმისათვის, რომ შეიქმნას მშვიდობის, კეთილდღეობისა და განვითარებისათვის საჭირო პირობები საჭიროა ყველას მხარდაჭერა და ამასთანავე „ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი როლი ქრისტიანების გადარჩენის ერთობლივ კამპანიაში ახლო აღმოსავლეთში არის და უნდა იყოს საკვანძო“ განაცხადა მან.

კოპტური საპატრიარქოში ჩატარდა IAO-ს მიერ არაბულ ენაზე გამოცემული ალბომის **„აია სოფია. ღვთის სიბრძნის ეკლესიები მსოფლიოში“** პრეზენტაცია. საერთაშორისო სამდივნოს წევრებთან ერთად ალბომის წარდგენას ესწრებოდნენ ეგვიპტის პარლამენტის წევრები, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის წარმომადგენელი და სხვა მოწვეული საპატიო სტუმრები. ალბომის პრეზენტაციისას აღინიშნა, რომ ეგვიპტე ერთდროულად აერთიანებს მრავალ მნიშვნელოვან მახასიათებელს და არის საკვანძო მნიშვნელობის ქვეყანა რომელიც მიჰყვება მტკიცე მშვიდობისმოყვარე პოზიციას, და ხელს უწყობს შერიგებასა და ურთიერთგაგებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ზოგადად არაბული და ისლამური სამყაროსთვის.

4) ეგვიპტის წარმომადგენელთა პალატის ისტორიულ შენობაში გაიმართა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (IAO) საერთაშორისო სამდივნოს საგაზაფხულო სხდომა. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის პარლამენტის სათათბირო დარბაზი პირველად დაეთმო საერთაშორისო ორგანიზაციას შეხვედრის გასამართად. საერთაშორისო სამდივნოს სხდომა გახსნა IAO-ს გენერალურმა მდივანმა, საბერძნეთის პარლამენტის წევრმა, დოქტორმა **მაქსიმოს ხარაკოპულოსმა,** რომელმაც

გულთბილი მადლობა გადაუხადა ეგვიპტის პარლამენტს მასპინძლობისთვის. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ორგანიზაციის გასული 6 თვის საქმიანობა და ისაუბრა IAO-ს პოზიციაზე, რომელიც ეფუძნება დიპლომატიის მხარდაჭერას, შერიგებას, მშვიდობასა და თანამშრომლობისკენ სწრაფვას „ჩვენ გვჯერა დიალოგისა და დიპლომატიის, რაც საუკეთესო იარაღია სახელმწიფოებრივი, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების, ომისა და ნგრევის წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ ეს ღირებულებები გადამწყვეტია იმ სერიოზული პრობლემების დასაძლევად, რომლებიც დღეს დგას მსოფლიოს წინაშე“. შემდეგ მან დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ ორგანიზაციის მრავალფეროვანი საქმიანობა მოიცავს მთელ რიგ საერთაშორისო ინიციატივას, რაც მიზნად ისახავს პარლამენტებს შორის ურთიერთანამშრომლობას, ასევე დიალოგისა და თანამშრომლობის არხების შექმნას და ევროპაში ქრისტიანული ღირებულებების განმტკიცებას.

საერთაშორისო სამდივნოს წევრების წინ სიტყვით წარსდგენ ეგვიპტის პარლამენტის გენერალური მდივანი, **აჰმედ ეზატ მანა,** რელიგიურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და ეგვიპტის ყოფილი დიდი მუფთი, **ალი გომა**, რომლებიც მიესალმნენ ორგანიზაციის ინიციატივებს ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის სფეროში. სიტყვით გამოვიდნენ საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, **ათანასიოს ბურასი** და ეგვიპტის პარლამენტის წევრი, **მანალ ჰალალი,** რომელიც პირველი პარლამენტარი ქალია, რომელსაც ეგვიპტის პარლამენტიდან მიენიჭა IAO-ს წევრობის ოფიციალური მანდატი.

სხდომის მეორე ნახევარი დაეთმო მიმდინარე ორგანიზაციულ და საფინანსო საკითხების განხილვას და დეპუტატების ადგილიდან ინტერვენციებს. მოსმენილი იყო ფინანსური ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებ. დაიგეგმა მომავალი ექვსი თვის ბიუჯეტი და საქმიანობის გეგმა. საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრები ასევე გამოვიდნენ სიტყვით.

თავის გამოსვლაში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ირაკლი ქადაგიშვილმა** კოლეგებს შეახსენა IAO-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რაც არის ქრისტიანული და ტრადიციული ღირებულებების მხარდაჭერა და გავრცელება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებსა და მთელ მსოფლიოში და ამასთან მიმართებაში ისაუბრა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის უახლესს ინიციატივებზე. მან ასევე ისაუბრა იმ მნიშვნელოვან კანონებზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ოჯახის მცნებისა და მოზარდების მავნე გავლენებისაგან დასაცავად. ის ასევე შეეხო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს უცხოური დაფინანსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ და განაცხადა, რომ „ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ იყვნენ განმსჭვალული დიდი ენთუზიაზმით ამ კანონმდებლობის მიმართ, განსაკუთრებით ევროკავშირში. მაგრამ ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელი და არსებითია შევინარჩუნოთ ჩვენი ერის ჯანსაღი ტრადიციული განვითარება, ასევე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოს, შესაძლებლობა გვქონდეს ვემსახუროთ ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს“ განაცხადა მან.

ნიკოლოზ სამხარაძემ თავდაპირველად მადლობა გადაუხადა ეგვიპტის პარლამენტის წევრს, **მანალ ჰალალს** და აღნიშნა, რომ პირველად იღებდა მონაწილეობას ორგანიზაციის მუშაობაში სპეციალური სტუმარის სტატუსით, რამაც მას საშუალება მისცა შეეფასებინა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი დღის წესრიგი, როგორც ძალიან საინტერესო და ყოვლისმომცველი, რისთვისაც მან ასევე მადლობა გადაუხადა საერთაშორისო სამდივნოს ხელმძღვანელობას. ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ

საქართველო ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრია და „ჩვენ მართლაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ორგანიზაციას განსაკუთრებით დღეს, როდესაც ვხედავთ მიმდინარე გეოპოლიტიკურ ძვრებს მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში. აქ ბევრი ითქვა უკრაინაში, ღაზაში, პალესტინასა და ასევე მსოფლიოს სხვა ადგილებში არსებულ ვითარებაზე და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ჩვენ ვაწყდებით მართლმადიდებელი რუსეთის ოკუპაციას, რომელიც არ აძლევს უფლებას საქართველოს მოსახლეობის თითქმის 8% დაუბრუნდეს თავიანთ სახლებს აფაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მან ასევე ისაუბრა აფხაზეთში მიმდინარე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მხატვრული იერსახის მიზანმიმართული შეცვლის ფაქტებზე, ფრესკების „გადახატვაზე“ – „ამ ოკუპაციას აქვს არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო განზომილება, არამედ რელიგიური განზომილებაც, რაც ასევე ძალიან სამწუხაროა. ეს კი ნიშნავს კულტურული თუ რელიგიური კვალის წაშლას, ამიტომ ჩვენ უნდა დავგმოთ რუსეთის ფედერაციის ეს ქმედებები“-განაცხადა **ნიკოლოზ სამხარაძემ.**

ის ასევე შეეხო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს და ამ მიმართებით გამოთქმულ შეფასებებსა და თავდასხმებს, რომელიც მომდინარეობს არა მარტო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არამედ რიგი ევროპელი მაღალი დონის პოლიტიკოსებისაგან და მიმართულია მართლმადიდებლობის, ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების წინააღმდეგ და რელიგიური ინსტიტუტების ნდობის შელახვისაკენ. დასასრულს მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ორგანიზატორებს ღონისძიებაზე მოწვევისთვის და უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში „მინდა საქართველოს პარლამენტის სახელით განვაცხადო, რომ ჩვენ მომავალში აქტიურად ვიქნებით ჩართული ამ ორგანიზაციის საქმიანობაში“-განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

საერთაშორისო სამდივნოს სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა შეხვედრა ეგვიპტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარესთან, **ჰანაფი ალი ელ-გებლისთან.** ეგვიპტის პარლამენტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა: "ჩვენ ვადასტურებთ იმ სტაბილურ ურთიერთობებს, რომელიც გვაკავშირებს მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან და მის წევრ ქვეყნებთან და ასევე ვადასტურებთ ჩვენს ინტერესს მათი შემდგომი გაძლიერების მიზნით ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ“.

- <u>2025 წლის 2-5 ივნისი, ბუქარესტი, რუმინეთი</u>

მივლინების მიზანი: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (**Interparliamentary Assembly on Orthodoxy (IAO)** 32-ე ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობა

დელეგაციის შემადგენლობა: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი, **ზაზა ლომინაძე**, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი, ლიკა ფერაძე.

სხდომა: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის **(IAO)** 32-ე ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სხდომა გაიმართა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 2025 წლის 2-6 ივნისს, მთავარი თემით: ***„საპარლამენტო და რელიგიური***

ინსტიტუტების თანამშრომლობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებაში: IPU-ს მარაქეშის კომუნიკეს მნიშვნელობა". ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სხდომა ჩატარდა რუმინეთის დეპუტატთა პალატაში, **იოან ვულპესკუს,** IAO-ს პრეზიდენტისა და რუმინეთის პარლამენტის წევრის ინიციატივით.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეებდნენ პარლამენტის წევრები შემდეგი ქვეყნებიდან: საბერძნეთი, სომხეთი, ალბანეთი, ეგვიპტე, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთ მაკედონია, ბულგარეთი, საქართველო, ესტონეთი, იორდანია, ირანი, კვიპროსი, მოლდოვა, რუმინეთი და სერბეთი.

გენერალური ასამბლეა გახსნილად გამოაცხადა რუმინეთის დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტმა, **ვასილე დანიელ სუჩიუმ.** გახსნის ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რუმინეთის სენატის ვიცე-პრეზიდენტი, **რობერტ-მარიუს კაზანჩუკი,** რუმინეთის **პატრიარქ დანიელის** წარმომადგენელი, **მამა ავგუსტინ კომანი,** მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარის წარმომადგენელი, **იგორ გროსუ,** რუმინეთის პარლამენტის წევრი, **ბორის მარკოჩი,** რუმინეთის აკადემიის პრეზიდენტი, **იოან აურელი პოპი,** რუმინეთის ეკონომიკის, დიგიტალიზაციის, მეწარმეობისა და ტურიზმის მინისტრი, **ბოგდან გრუია ივანი,** ბუქარესტის ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, **მიჰნეა კოსმინ კოსტოიუ,** საბერძნეთის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, **ათანასიოს ბურასი,** ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (PUIC) წევრი სახელმწიფოების საპარლამენტო კავშირის გენერალური მდივნის თანაშემწე, **ალი ასგარ მოჰამად სიჯანი,** ევროკავშირის ეპისკოპოსთა კონფერენციების კომისიის პრეზიდენტი (COMECE), ეპისკოპოსი **მარიანო კროჩიატა,** „ერთად ევროპისთვის" ორგანიზაციის კოორდინატორი, **გერჰარტ პროსი,** მუსლიმური სამყაროს ლიგის (MWL) ესპანეთის ოფისის დირექტორი, **ხოჯა ჰუსამ სიდიკი,** ფოკოლარეს მოძრაობის წარმომადგენელი, მოძრაობა „ერთიანობის პოლიტიკის" პრეზიდენტი (MppU), **მარიო ბრუნო** და მეფე ჰამადის სახელობის თანაცხოვრებისა და ტოლერანტობის გლობალური ცენტრის თანაარსებობის (KHGC) დირექტორი, **ნურა ალმანსური.**

32-ე გენერალური ასამბლეის მონაწილეებსა და საპატიო სტუმრებს სპეციალური ვიდეომიმართვებით მიესალმნენ – ევროკომისიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, **როქსანა მინზატუ,** საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) გენერალური მდივანი, **მარტინ ჩუნგონგი** და იუნესკოს გენერალური კონფერენციის მოქმედი პრეზიდენტი, **სიმონ მირელა მიკულესკუ.**

ასამბლეის მონაწილეებმა ასევე მოისმინეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (WCC) გენერალური მდივნის, დოქტორ **ჯერი პილეის,** ევროპის ეკლესიათა კონფერენციის (CEC) პრეზიდენტის, თიატირიისა და დიდი ბრიტანეთის **მთავარეპისკოპოს ნიკიტას** და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, **თეოდორე II-ის** მისასალმებელი სიტყვები, ეს უკანასკნელი კი წაიკითხა IAO-ს მეკავშირემ პან-აფრიკულ პარლამენტთან ურთიერთობებში, ზამბიისა და მოზამბიკის **მთავარეპისკოპოსმა იოანისმა.**

აღსანიშნავია, რომ გენერალური ასამბლეის საინაუგურაციო ცერემონიას ესწრებოდნენ რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტი (1996-2000) **ემილ კონსტანტინესკუ** და IAO-ს წევრი ქვეყნების ელჩები, მათ შორის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში, **თამარ ბერუჩაშვილი.**

გენერალური ასამბლეის სხდომა გაგრძელდა სპეციალური თემატური სესიით – **„საპარლამენტო და რელიგიური ინსტიტუტების თანამშრომლობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებაში: IPU-ს მარაქეშის კომუნიკეს მნიშვნელობა".** ამ თემასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები წარადგინეს ასამბლეაზე მოწვეულმა სპეციალურმა სტუმრებმა და ასამბლეის წევრმა დეპუტატებმა.

მოსმენილი იყო საინტერესო გამოსვლები ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ და პასუხისმგებლიან გამოყენებაზე დემოკრატიულ ინსტიტუტებში, პარლამენტების მიერ ტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრაციასა და ხელოვნური ინტელექტის ადამიანზე ორიენტირებული და მონაწილეობითი მმართველობის აუცილებლობაზე. გამომსვლელთა შორის იყვნენ რუმინეთის კვლევის, ინოვაციებისა და დიგიტალიზაციის მინისტრი, **ბოგდან-გრუია ივანი,** ბუქარესტის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და კომპიუტერული ფაკულტეტის პროფესორი, **ფლორინ პოპი,** ბუქარესტის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, **ციპრიან დობრეა,** საბერძნეთის პარლამენტის სამეცნიერო სამსახურის სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, **ფოტიოს ფიცილისი** და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მარაქეშის კომუნიკე, მიღებული იყო 2023 წელს საპარლამენტთაშორისო კავშირის **(IPU)** რელიგიათაშორისო დიალოგის კონფერენციაზე. ის ხაზს უსვამს რელიგიათაშორისი დიალოგის სასიცოცხლო როლს მშვიდობის, ინკლუზიურობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობაში და მოუწოდებს პარლამენტარებს დაიცვან კანონის უზენაესობა, ფუნდამენტური თავისუფლებები - მათ შორის რელიგიის, რწმენის თავისუფლება - და ებრძოლონ სიძულვილის ენას, დეზინფორმაციას და ექსტრემიზმს. კომუნიკე ასევე ხაზს უსვამს გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ახალგაზრდების გაძლიერების და იმის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომ არცერთი რელიგია არ იქნას გამოყენებული ძალადობის ან გარიყულობის გასამართლებლად.

ზაზა ლომინაძე, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი ასევე წარსდგა სიტყვით თემაზე: **„ქრისტიანული ფასეულობები, სუვერენიტეტი და ხელოვნური ინტელექტი: საქართველოს ხედვა „Marrakesh Communiqué"-ს შუქზე".** მან ისაუბრა **AI**-ს განვითარებასა და მასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევების შესახებ, რომ ხელოვნური ინტელექტი აქტიურად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში და გვაყენებს გამოწვევის წინაშე - თუ როგორ მოვარგოთ ეს ტექნოლოგია ჩვენს ქრისტიანულ ფასეულობებს, ქვეყნის სუვერენიტეტს და ზოგადად ჩვენს ყოველდღიურობას. მისი თქმით „საქართველომ, თავისი 3000-წლიანი სახელმწიფოებრიობით, კარგად იცის, რას ნიშნავს ფასეულობებისა და სუვერენიტეტის დაცვა. IV საუკუნეში, როცა წმინდა ნინომ ქრისტიანობა კიდევ ერთხელ იქადაგა საქართველოში და მეფე მირიანმა ის ჩვენი სახელმწიფოს საყრდენად აქცია, ჩვენ ავირჩიეთ გზა, რომელიც რწმენასა და ღირსებას ეფუძნება." ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენი პარლამენტი მხარს უჭერს **AI**-ს განვითარებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის ეთიკური ნორმებითაა მართული. საქართველო, მზადაა, თქვენთან ერთად წარმართოს ეს პროცესი. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ქრისტიანული ფასეულობები, ისევე როგორც ჩვენი სუვერენიტეტი, ხელშეუხებელია. მოდით, შევქმნათ მომავალი, სადაც ტექნოლოგია ჩვენი ხალხის სამსახურშია, ხოლო ჩვენი რწმენა — ჩვენი მარადიული საყრდენი"- განაცხადა **ზაზა ლომინაძემ.**

ასამბლეის მეორე დღე დაეთმო გრაფიკით განსაზღვრული ორგანიზაციული და საფინანსო საკითხების განხილვას, მოსმენილი იყო გაწეული ხარჯების ფინანსური და საერთაშორისო სამდივნოს მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ვიზიტების ანგარიშები. დაიგეგმა და დამტკიცდა IAO-ს მომავალი 2025-2026 ფინანსური წლის ბიუჯეტი და ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის გეგმა. მოსმენილი იყო IAO-ს გენერალური მდივნის, დოქტორ **მაქსიმოს ჩარაკოპულოსის** მიერ წარდგენილი დეტალური მიმოხილვითი ანგარიში, რის შემდეგ დამტკიცდა ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა, რომელიც ასევე მოიცავს: ა) ისეთ ჩარევებს, რომელიც ევროპულ კულტურაში წარმოაჩენს ქრისტიანულ ტრადიციებსა და ფასეულობებს ევროპის მომავლის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე ბ) ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანებისა და იქ არსებული ქრისტიანული ძეგლების დაცვისკენ მიმართულ ქმედებებს.

სხდომის მეორე ნახევარი დაეთმო ასამბლეის წევრი დეპუტატების ინტერვენციებს აქტუალურ საკითხებზე და IAO-ს საწესდებო ორგანოებში წევრთა შემადგენლობის განახლებას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ გენერალური ასამბლეის წევრებმა IAO-ს არსებული მუდმივმოქმედი კომიტეტების ფუნქციონირების მოდელი მიმდინარე ეტაპზე არაფუნქციურად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს შეექმნათ ახალი - ორგანიზაციულ საკითხთა კომიტეტი, ორგანო, რომელიც ორიენტირებული იქნება მიმდინარე ორგანიზაციული საკითხების მართვაზე და რომელიც დაეხმარება საერთაშორისო სამდივნოს და გენერალურ ასამბლეას მათი საქმიანობის განხორციელებაში, რაც კენჭისყრით განახორციელეს.

რაც შეეხება საერთაშორისო სამდივნოს (ბუროს) შემადგენლობას, მის ახალ წევრად აირჩიეს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, **ირაკლი ქადაგიშვილი,** რომელიც მანამდე რეგლამენტში ცვლილებების შემტანი კომიტეტის წევრად იყო არჩეული, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. „მოძველებულ“ რეგლამენტში საეტაპო ცვლილებების შეტანას, რაც წარმატებით დასრულდა.

დამატებით, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია სინას მთაზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერთან დაკავშირებით. რეზოლუციაში გამოხატულია „ძლიერი შეშფოთება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მეორე ინსტანციის ისმაილიის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებზე სინას წმინდა ეკატერინეს მონასტერთან დაკავშირებით“. რეზოლუცია მოუწოდებს ეგვიპტის ხელისუფლებას, "უზრუნველყოს სინაის საძმოს მიერ ისტორიულად გამოყენებული საკუთრების უფლებები, რათა დასრულდეს ეს არასაჭირო გაურკვევლობა“.

დასასრულს, გენერალური ასამბლეის ფარგლებში IAO-ს ხელმძღვანელობას შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა რუმინეთის პრემიერ-მინისტრს, **კატალინ პრედოვიუს,** რომელსაც მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციის ბოლოდროინდელი ინიციატივების შესახებ და მადლობა გადაუხადეს რუმინეთის პარლამენტის მიერ IAO-ს საქმიანობისადმი გაწეული დიდი ხნის მხარდაჭერისთვის.

- <u>2025 წლის 14-17 ნოემბერი, ქ. ამანი (იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო) და ისრაელი</u>

მივლინების მიზანი: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (**Interparliamentary Assembly on Orthodoxy (IAO)** საერთაშორისო სამდივნოს

შემოდგომის სხდომასა და პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა.

დელეგაციის შემადგენლობა: ირაკლი ქადაგიშვილი, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი; ლიკა ფერაძე, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი.

აქტივობები: საერთაშორისო სამდივნოს შემოდგომის სხდომა, საერთაშორისო სამდივნოს წევრების სამუშაო შეხვედრები იორდანიასა და ისრაელში, ასამბლეის მიერ არაბულ ენაზე გამოცემული ალბომის პრეზენტაცია.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (IAO) საერთაშორისო სამდივნოს წევრები 2025 წლის 14-17 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით ეწვიენ იორდანიას, სადაც გაიმართა საერთაშორისო სამდივნოს შემოდგომის სხდომა და ვიზიტით გათვალისწინებული ოფიციალური შეხვედრები. საერთაშორისო სამდივნოს მასპინძლობდა IAO-ში იორდანიის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, **ვასფი ჰადადი,** იორდანიის პარლამენტთან და იორდანიის ტურიზმის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ პარლამენტის წევრები ცამეტი ქვეყნიდან: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ეგვიპტე, იორდანია, კვიპროსი, საქართველო, საბერძნეთი, სერბეთი, სომხეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, რუმინეთი. ასევე ზამბიისა და მოზამბიკის მიტროპოლიტი **იოანისი,** რომელიც არის IAO-თან პან-აფრიკული პარლამენტის (PAP) მეკავშირე პირი, ხოლო სპეციალური სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ ყოფილი დეპუტატი და ორგანიზაციის დიდი ხნის წევრი, **იოსებ ისკანდერი** (სუდანი) და პოლონეთის პარლამენტის წევრი, **ალექსანდრე ვასილიუკი.**

- **შეხვედრა სამეფო უდიდებულესობასთან, პრინც ელ ჰასან ბინ ტალალთან (HRH Prince El Hassan bin Talal)**

საერთაშორისო სამდივნოს წევრებს შესაძლებლობა მიეცათ პირველი შეხვედრა გაემართათ მის სამეფო უდიდებულესობასთან, **იორდანიის პრინც ელ ჰასან ბინ ტალალთან,** რომელიც ბისმანის სასახლეში შედგა. შეხვედრაზე IAO-ს გენერალურმა მდივანმა, საბერძნეთის პარლამენტის წევრმა, დოქტორმა **მაქსიმოს ჩარაკოპულოსმა,** გამოსვლაში აღნიშნა: „1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებიდან 100 წელზე მეტი გავიდა და აღმოსავლეთი მკვეთრად შეიცვალა. მანამდე მცირე აზიის, მესოპოტამიისა და წმინდა მიწის ყოველი მესამე მცხოვრები ქრისტიანი იყო. დღეს თურქეთში მხოლოდ რამდენიმე ათასი ცხოვრობს, ერაყში კი რამდენიმე ასეული ათასი, სირიაში კი ქრისტიანებს ხოცავენ და მოსახლეობა ისევ ადრეული ქრისტიანული წლების განსაცდელის წინაშე დგას. იორდანია კი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, სადაც ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანები უსაფრთხოდ არიან და რის გამოც ჩვენ ჭეშმარიტად მადლიერები ვართ თქვენი“. გენერალურმა მდივანმა თავად ისაუბრა პრინცის მოღვაწეობაზე, რომელიც ხელს უწყობს ხალხებსა და კულტურებს შორის რელიგიათაშორისო დიალოგსა და ურთიერთგაგებას და განაცხადა, რომ იორდანია სამაგალითო ქვეყანა გახდება მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის და მალე უკეთესი დღეები დადგება მისი ყველა მაცხოვრებლისთვის.

თავის მხრივ, **პრინცი ელ ჰასანი** თბილად მიესალმა **IAO**-ს წევრებს და აღნიშნა, რომ „აღმოსავლეთში ქრისტიანობა რეგიონის ისტორიის განუყოფელი ნაწილია და განაცხადა, რომ ლევანტის მომავალი სამი ცენტრალური საყრდენით არის ჩამოყალიბებული: ტერიტორია, იდენტობა და მიგრაცია“. მან დასძინა: „უსამართლობის მუდმივობა და სამართლიანობის არარსებობა ექსტრემიზმისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის მშენებლობა იწყება სხვისი აღიარებით და მრავალფეროვნების პატივისცემით“. მან ასევე დაადასტურა, რომ „ყოვლისმომცველი, ცოდნაზე დაფუძნებული დიალოგი რეგიონის სოციალური სტრუქტურის შენარჩუნების აუცილებელ გზად რჩება. ადამიანური ღირსების შენარჩუნება სტაბილურობის ნამდვილი საფუძველია და აღნიშნა, რომ საზოგადოების კომპონენტებს შორის დიალოგი არ არის არჩევითი, არამედ აუცილებლობაა, რომელიც მიმდინარე მომენტითა და ადამიანური უსაფრთხოების იმპერატივებით არის ნაკარნახევი“.

პრინცთან შეხვედრისას საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ირაკლი ქადაგიშვილმა,** ისაუბრა საქართველო-იორდანიის ურთიერთობებზე. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ იორდანიის მეფემ და პრინცმა გულისხმიერება გამოიჩინეს და საქართველოს გადასცეს მიწის ნაკვეთი ქართული კულტურული ცენტრის ასაშენებლად მდინარე იორდანეს სანაპიროზე - იმ ადგილის მიმდებარეთ, სადაც შესრულდა მაცხოვრის ნათლობის საიდუმლო. თავის მხრივ, პრინცმა გულთბილად აღნიშნა მისი კავშირები ქართველ საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეებთან და ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც ისტორიულად მნიშვნელოვან სახელმწიფოს.

- **ოფიციალური შეხვედრა ამანის მთავარეპისკოპოს ქრისტოფოროსთან**

IAO-ს დელეგაცია ეწვია მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძარს (**Ypapanti tou Kyriou**), სადაც აღევლინა საღმრთო ლიტურგია, რომელსაც უძღვებოდა იერუსალიმის საპატრიარქოს ამანის **მთავარეპისკოპოსი ქრისტოფოროსი**. დელეგაციის წევრებთან წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მან ისაუბრა იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ იორდანიაში გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობის შესახებ, რომელიც 2000 წლიან ისტორიას მოიცავს. მისი თქმით, ამჟამად იორდანიაში ფუნქციონირებს 70 ეკლესია, 20 სკოლა და მალე მდინარე იორდანიის რეგიონში გაიხსნება უნივერსიტეტიც. მან ასევე ისაუბრა მუსლიმებთან არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე, რაც იორდანიის მეფის დამსახურებაა და ხაზი გაუსვა ახლო აღმოსავლეთში რომანიზმის შენარჩუნების აუცილებლობას.

- **IAO-ს მიერ გამოცემული - წმინდა სოფიას ტაძრების შესახებ ალბომის პრეზენტაცია.**

ქალაქ ამანში, მართლმადიდებლური საგანმანათლებლო საზოგადოების ღონისძიებების სივრცეში გაიმართა ალბომის „წმინდა სოფია. ღვთის სიბრძნის ეკლესიები მთელ მსოფლიოში“ არაბული გამოცემის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, მინისტრები, ელჩები და სხვა მოწვეული სტუმრები.

- **IAO-ს საერთაშორისო სამდივნოს შემოდგომის შეხვედრა**

IAO-ს საერთაშორისო სამდივნოს შემოდგომის შეხვედრა იორდანიის პარლამენტის შენობაში გაიმართა. **მაზენ ალ-კუდა,** იორდანიის პარლამენტის თავმჯდომარე, მიესალმა **IAO**-ს საერთაშორისო სამდივნოს წევრებს და თავის მიმართვაში საქებარი

სიტყვები არ დაიშურა ასამბლეის იმ ინიციატივებზე, რომლებიც მიმართულია ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის. მან დასძინა: „იორდანია მასპინძლობს ამ კონფერენციას, რაც გამოხატავს ღრმა რწმენას, რომ რელიგიებსა და კულტურებს შორის დიალოგი მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველია. იორდანია ჰარმონიის ქვეყანაა, რომელსაც სწამს სიყვარულის, სოლიდარობისა და დიალოგის, როგორც ყველა სახის კრიზისის მოგვარების გზისა. და ჩვენ ყოველთვის ამაყები ვართ, რადგან ჩვენი ქვეყანა არის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მაგალითი იმ რეგიონში, რომელიც არეულობის ტალღებით არის შერყეული“.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ შეხვედრა წარიმართა სამუშაო რეჟიმში. საერთაშორისო სამდივნოს წევრებმა განიხილეს ასამბლეის მიმდინარე ორგანიზაციული და საფინანსო საკითხები. წარდგენილი იყო ფინანსური ანგარიშგება და შეთანხმდა მომავალი 6 თვის ბიუჯეტი და საქმიანობის გეგმა. IAO-ს გენერალურმა მდივანმა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში წარადგინა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ორგანიზაციის მრავალმხრივი საქმიანობა, ისაუბრა იმ საერთაშორისო ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს პარლამენტებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, დიალოგის ხელშეწყობას, თანამშრომლობის არხების შექმნას და ქრისტიანული ღირებულებების განმტკიცებას ევროპაში. ორგანიზაციის ახლო პერიოდის საქმიანობათა სიაში მან სხვა საკითხებს შორის დაასახელა: ევროპულ მოვლენებში უფრო აქტიური მონაწილეობა, წმინდა სოფიას ტაძრის შესახებ ალბომის პრეზენტაციების გამართვა, საერთაშორისო თანამშრომლობა რელიგიათა შორისი დიალოგის თემებში, პოლიტიკური სამყაროს დიალოგი სხვადასხვა რელიგიებთან და ბოლოს, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ინსტიტუციათა შორისი თანამშრომლობა;

სხდომა გაგრძელდა საერთაშორისო სამდივნოს წევრების გამოსვლებითა და ინტერვენციებით. სხდომაზე სიტყვით წარსდგა, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი, **ირაკლი ქადაგიშვილი.** მან ისაუბრა მართლმადიდებლურ და ზოგადად ქრისტიანული ღირებულებების დაცვის, გავრცელებისა და პოპულარიზაციის აუცილებლობაზე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც. მისი აზრით, ქრისტიანობაში ჩადებული მორალური, ზნეობრივი, ჰუმანიტარული და ჰუმანური პრინციპები უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ზნეობრივ საყრდენს პოლიტიკის ფორმირებისას.

სიტყვის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ირაკლი ქადაგიშვილმა** კოლეგებს ამცნო, რომ ასამბლეის გენერალურ მდივანთან, მის პრეზიდენტთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, გადაწყდა, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს მომდევნო შეხვედრის საქართველოში, ქალაქ თბილისში გამართვა:

- გულითადად გეპატიჟებით საერთაშორისო სამდივნოს წევრებს ამ შეხვედრაზე, რათა ერთად გავაგრძელოთ ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, განვიხილოთ საერთო გამოწვევები და კიდევ უფრო გავაღრმავოთ ის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები, რაც ასამბლეის ფარგლებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ვიმედოვნებთ, რომ თბილისური შეხვედრა მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ჩვენი საერთო მისიის

განხორციელებაში - მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვასა და გაძლიერებაში თანამედროვე სამყაროში.

ვიზიტის დასასრულს, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს წევრები სპეციალური მოწვევით ისრაელს ეწვივნენ, სადაც ოფიციალური შეხვედრა გამართეს **იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე** III-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო სამდივნოს (ბიუროს) შემადგენლობის ახალ წევრად საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი ირაკლი ქადაგიშვილი აირჩიეს.

კომიტეტის წევრებმა **მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში** (Interparliamentary Assembly on Orthodoxy **(I.A.O.**) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2025 წლის ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მეშვიდე

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში **(PABSEC)** საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის წლიური ანგარიში დელეგაციის ხელმძღვანელმა **ირაკლი მეზურნიშვილმა** წარადგინა.

/პერიოდი: 2025 წლის იანვარი - 2026 წლის იანვარი/

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ **(PABSEC)** საპარლამენტო ასამბლეაში 2025 წლის პერიოდში აქტიური მონაწილეობა მიიღო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, კერძოდ:

- სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა, ქ. სკოპიე, ჩრდ. მაკედონია, 29 აპრილი, 2025 წელი;
- გენერალური ასამბლეის რიგით 65-ე სხდომა, ქ. ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, 17-19 ივნისი, 2025 წელი;
- ეკონომიკური განვითარების კომიტეტის სხდომა, ქ. ბელგრადი, სერბეთის რესპუბლიკა, 13-15 ოქტომბერი, 2025 წელი;
- სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა, ქ. ბორჯომი, 24-25 ოქტომბერი, 2025 წელი;
- გენერალური ასამბლეის რიგით 66-ე სხდომა, ქ. სოფია, ბულგარეთის რესპუბლიკა, 23-25 ნოემბერი, 2025 წელი.

ზემოაღნიშნული ვიზიტების გარდა, 2025 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი, ასაფ ჰაჯიევი. გასული წლის 24-25 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა ასევე უმასპინძლა ასამბლეის სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომას ქალაქ ბორჯომში

<u>ჩატარებული ღონისძიებები:</u>

სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა, 29 აპრილი, 2025 წელი, ქ. სკოპიე, ჩრდ. მაკედონია,

კომიტეტის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა **„შავი ზღვის რეგიონში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა“.**

სესიის ფარგლებში დელეგაციის ხელმძღვანელმა, ირაკლი მეზურნიშვილმა დელეგატებს სიტყვით მიმართა. მან ყურადღება გაამახვილა ორგანიზებული დანაშაულის ნეგატიურ გავლენაზე საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებზე, კანონის უზენაესობასა და ქვეყნისა და რეგიონულ უსაფრთხოებაზე. მან აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაული აფერხებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას, რის გამოც მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. დელეგაციის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანმიმდევრულ და მტკიცე ძალისხმევას, გამოიყენოს ყველა საჭირო რესურსი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური და ყოვლისმომცველი რეაგირების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ეროვნული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაული გლობალური გამოწვევაა და მისი ეფექტიანი წინააღმდეგობა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას მოითხოვს. მსგავსი ფორმატის შეხვედრები მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის კონსტრუქციული დიალოგისა და ერთობლივი ქმედებების განსამტკიცებლად, რათა საერთო ძალისხმევით უზრუნველყოფილ იქნას უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული და სამართლიანი რეგიონი ყველასთვის.
კომიტეტის სხდომაზე განიხილეს და მიიღეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ მოხსენებისა და რეკომენდაციების პროექტები.

გენერალური ასამბლეის რიგით 65-ე სხდომა
17-19 ივნისი, 2025 წელი, ქ. ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის ირაკლი მეზურნიშვილის და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო წილოსანის შემადგენლობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაქოში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის (PABSEC) რიგით 65-ე გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობს.
პლენარული სესიის გახსნით ნაწილში დელეგატებს სიტყვით მიმართეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარემ საჰიბა გაფაროვამ, ბულგარეთის ეროვნული ასამბლეის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ნატალია კისელოვამ და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ აფრიომ გაშიმ.
სხდომაზე განხილვის მთავარ თემას **„შავი ზღვის რეგიონში კავშირების გაძლიერება და მობილობის გაუმჯობესება მდგრადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით“** წარმოადგენდა.
პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა ირაკლი მეზურნიშვილმა გენერალურ დებატებში მიიღო მონაწილეობა.
ირაკლი მეზურნიშვილმა ისაუბრა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ სივრცეზე, და მის პოტენციალზე ვაჭრობის, ტექნოლოგიური განვითარების და მდგრადი ზრდის მიმართულებით. მან ხაზი გაუსვა მობილობის გაზრდის აუცილებლობას ინოვაციების დანერგვის, მდგრადობის ხელშეწყობისა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების გზით. დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა საქართველოს ერთგულება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და მისი საპარლამენტო ასამბლეის მიმართ და მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს ინიციატივებს, რომლებიც

აძლიერებს რეგიონულ კავშირებს და ხელს უწყობს შავი ზღვის რეგიონის გრძელვადიან განვითარებას.

სხდომის ფარგლებში განიხილეს და მიიღეს მოხსენებები და რეკომენდაციები შემდეგ თემებზე: **„საერთაშორისო თანამშრომლობის როლი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით“** და **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმდინარე სტრატეგიები და პრაქტიკა“.**

სხდომის დასასრულს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობა ოფიციალურად გადაიბარა ბულგარეთის რესპუბლიკამ.

ეკონომიკური განვითარების კომიტეტის სხდომა
13-15 ოქტომბერი, 2025 წელი, ქ. ბელგრადი, სერბეთის რესპუბლიკა

კომიტეტის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა: **„ხელოვნური ინტელექტის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“.**
დელეგაციის ხელმძღვანელმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობაზე შავი ზღვის რეგიონისთვის, როგორც მოდერნიზაციის, კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიური ზრდის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალაზე. მან ხაზი გაუსვა მყარი სამართლებრივი ჩარჩოებისა და რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ საქართველო ციფრულ ტრანსფორმაციას მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განიხილავს. დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა საქართველოს მიმდინარე ძალისხმევა ხელოვნური ინტელექტის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით და ის პოტენციალი, რაც ხელოვნურ ინტელექტს აქვს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების, ეკონომიკის მოდერნიზებისა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით.
კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ხელოვნური ინტელექტის შესახებ შესაბამისი მოხსენებისა და რეკომენდაციის პროექტები.

სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა
24-25 ოქტომბერი, 2025 წელი, ქ. ბორჯომი

საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების კანონმდებლებმა დისკუსიის ფორმატში, ხელოვნური ინტელექტის როლსა და მნიშვნელობაზე სამართლებრივი საკითხები განიხილეს და არსებულ გამოცდილებაზე ისაუბრეს.
დელეგაციის ხელმძღვანელმა ირაკლი მეზურნიშვილმა ისაუბრა შავი ზღვის რეგიონში ხელოვნური ინტელექტის სფეროში თანამშრომლობის ფართო პოტენციალზე და აღნიშნა, რომ ერთობლივ ინიციატივებს შეუძლია რეგიონში არსებული საერთო ეკონომიკური და ციფრული გამოწვევების უფრო ეფექტურად დაძლევა. მან ხაზი გაუსვა ხელოვნური ინტელექტის როლს რეგიონული კავშირის გაძლიერების, კიბერ-უსაფრთხოების, ციფრული ვაჭრობისა და მდგრადი ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით.
დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ხელოვნური ინტელექტის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების საწყის ეტაპზეა და ერთგულია პრინციპისა, რომ ტექნოლოგიები ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას უნდა ემსახურებოდეს.

კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა შესაბამისი მოხსენებისა და რეკომენდაციის პროექტები.

გენერალური ასამბლეის რიგით 66-ე სხდომა
13-25 ნოემბერი, 2025 წელი, ქ. სოფია, ბულგარეთის რესპუბლიკა

გენერალური ასამბლეის დებატების მთავარ თემას წარმოადგენდა: **„თანამშრომლობა ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციებთან“.**
გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო დელეგაციამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის ხელმძვანელობით. სესიაზე დელეგატებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და სხდომის დასასრულს მომდევნო 6 თვის ვადით გადმოიბარა (PABSEC) თავმჯდომარეობა.
2026 წლის ივნისამდე საქართველო გახდა (PABSEC თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი (PABSEC) პრეზიდენტი.

კომიტეტის წევრებმა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში (PABSEC) საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის წლიური ანგარიში ცნობად მიიღეს;

საკითხი მერვე

სხდომაზე, საქართველოს კანონის პროექტი **„საკონსულო საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,“ მესამე მოსმენით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხათუნა თოთლაძემ წარადგინა.

- ცვლილების განხორციელება გამოწვეულია საგარეო საქმეთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმით, რომლის შედეგად შეიცვალა სამინისტროს ინსტიტუციური მოწყობა და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს კანონში სამინისტროს ახლადშექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფის - საერთაშორისო სამართლებრივი, საკონსულო და დიასპორის საკითხების დირექტორატის ასახვას, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანდა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი. იცვლება საკონსულო დეპარტამენტის სახელწოდება. ამასთან, სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში ლიკვიდირებულ იქნა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური მოსამზადებელი პროგრამის ორგანიზებას.

საქართველოს კანონის პროექტში „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეტანილი იქნა რედაქციული ცვლილებები.

კომიტეტის წევრებმა მომზადებულად მიიჩნიეს საქართველოს კანონის პროექტი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პარლამენტის სხდომაზე მესამე მოსმენით განსახილველად.

საკითხი მეცხრე

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი პირველი მოსმენით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხათუნა თოთლაძემ წარადგინა.

- ცვლილებით რეგულირდება საზღვარგარეთ, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში სტაჟიორთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობისა და მისი სტრუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით და სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, საზღვარგარეთ, სტაჟიორთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების საჭიროებით. ბოლო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდა, რომლის შესაბამისად, არაერთი განახლებული მიდგომა ჩამოყალიბდა, მათ შორის, სტაჟირების ანაზღაურებასა და ვადებთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით არის მოწესრიგებული. საქართველოს კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით, აღნიშნულ წესში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმად, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების შემთხვევაში სტაჟირების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება კანონით დადგენილი წესით, თუმცა ეს არ ვრცელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ანაზღაურებადი სტაჟირების შემთხვევებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა პროექტი, კერძოდ, მუხლს დაემატება ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ სტაჟიორებს ანაზღაურება მიეცემათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ სამართლებრივი აქტით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა წარმოდგენილ კანონპროექტს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მხარი დაუჭირა.

სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე

სხდომის მდივანი ნანა კვირცხალია